პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 277 (12789) | ხუთშაბათი, 28 ნოემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

## ჩვენი ნობათი — სამშობლოს!

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქიმიური ქარხნის კოლექტივმა [illegible] ... ჩვენი ქვეყნის მორეული რაიონებიდან [illegible] ახლა ქიმიური ქარხანა ასეთი რეზინით ავტომშენებელთა მთელ მოთხოვნილებას უზრუნველყოფს.

წყალტუბო. (საკ. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისათვის მზადების წინადღეები სასახელო შრომითი გამარჯვებით აღნიშნა წყალტუბოს ქიმიური ქარხნის კოლექტივმა. აქ ვადამდე შეასრულეს საერ- [illegible]

### აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყურძნის წარმოებასა და დამზადებაში წარმატებას მიაღწიეს. გეგმით გათვალისწინებული 3.700 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.703 ტონა ყურძენი. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობისათვის

# ხარისხისათვის ბრძოლა სახელმწიფოებრივი საქმეა

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში ყოველი დღე იძლევა ხალხის შრომითი გმირობის, გაბედული შემოქმედებითი შემართების უამრავ მკაფიო მაგალითს. ყველგან ჩქეფს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და ნოვატორთა ინიციატივა, რომელიც ემსახურება პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

სულ უფრო ძლიერდება შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ტემპი. უმჯობესდება საწარმოთა მუშაობის მაჩვენებლები. საწარმოო ფართობის გაუდიდებლად სისტემატურად იზრდება პროდუქციის გამოშვება, მტკიცდება საწარმოთა რენტაბელობა. ამავე დროს მკვეთრად უმჯობესდება ნაკეთობათა ხარისხი, მცირდება მისი თვითღირებულება, სულ უფრო ფართოდ ხორციელდება მომჭირნეობის რეჟიმი. ყოველივე ამას კი უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

საწარმოთა პროდუქცია — ფოლადი იქნება ეს თუ თუჯი, ჩარხები თუ ტურბინები, ქსოვილები თუ ფეხსაცმელი — უნდა გამოირჩეოდეს დიდი სიმკვიდრით, ლამაზად გამოყვანით. სხვანაირად არც შეიძლება. უკანასკნელ წლებში ფართოდ გაჩაღდა ბრძოლა საფაბრიკო მარკის ღირსებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში შეიქმნა მრავალი სახის მანქანები და ჩარხები, სხვადასხვა მოწყობილობანი, რომლებმაც საყოველთაო მოწონება ჰპოვეს არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაშიც. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ქართული მარკით პროდუქცია იგზავნება უცხოეთის ათობით ქვეყანაში.

რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა მკვეთრად გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, მინიმუმამდე დაიყვანეს წუნით გამოწვეული ზარალი, მტკიცედ დაადგნენ რენტაბელური მუშაობის გზას. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკა, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი და მთელი რიგი სხვა ფაბრიკები და ქარხნები.

შეჯიბრებაში საუკეთესო პროდუქციის გამოშვებისათვის წარმატება თვითდინებით როდი მოდის. წარმატებას აღწევენ ის საწარმოები, სადაც პარტიული ორგანიზაციები დაუცხრომლად უნერგავენ მუშებს, ოსტატებს, ინჟინრებს მშობლიური ქარხნის და ფაბრიკის ღირსებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას, ავითარებენ მათს შემოქმედებითს ინიციატივას, აქტიურად უჭერენ მხარს ყოველივე ახალს, მოწინავეს. მუშათა კრებებზე ხშირად განიხილავენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გზებს, კვალიფიციური მუშები ხალისით ეხმარებიან ნაკლებ მომზადებულ ამხანაგებს, გადასცემენ მათ თავიანთ გამოცდილებას. ასეთი მუშაობის შედეგია ის, რომ აღნიშნულ საწარმოებში მინიმუმამდე შემცირდა რეკლამაციები, საჩივრები პროდუქციის ცუდი ხარისხის გამო.

მაგრამ არის სხვაგვარი ფაქტებიც, რომლებიც მოწმობენ, რომ ბევრ საწარმოსა და მრეწველობის ცალკეულ დარგებში სერიოზულად შესუსტდა ყურადღება პროდუქციის ხარისხის საკითხებისადმი. ამის შედეგად წუნით დანაკარგი კი არ მცირდება, არამედ იზრდება. გრძელდება უხარისხო ნაწარმის გამოშვება. ამ მხრივ პირველ რიგებში არიან ჩვენი რესპუბლიკის საავეჯო საწარმოები. მაღაზიები სავსეა სხვადასხვა სახის ავეჯით, მაგრამ მომხმარებელს არ მიაქვს, თვეობით აწყვია მაღაზიებში და ადგილზევე განიცდის დეფორმაციას. ამის გამო გაუთავებელი დავა და მიწერ-მოწერაა სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის. მარტო თბილისის მეორე უნივერმაღმა მიმდინარე წლის ცხრა თვეში საავეჯო საწარმოებს, როგორც მოხმარებისათვის უვარგისი უკან დაუბრუნა 18,8 ათასი მანეთის პროდუქცია.

ამ უკანასკნელ ხანებში პროდუქციის ხარისხი გააუარესა ბათუმის ხისდასამუშავებელი კომბინატის კოლექტივმა. აქ წუნით გამოწვეული ზარალი კი არ კლებულობს, არამედ პირიქით მატულობს. ეს კიდევ არაფერი. კომბინატმა იმდენად გააუარესა პროდუქციის ხარისხი, რომ სავაჭრო ორგანიზაციები იძულებული არიან წარმოებას უკან დაუბრუნონ მათ მიერ გამოგზავნილი პროდუქცია. მაგალითად, მიმდინარე წლის მაისში თბილისის მეორე უნივერმაღმა როგორც მოხმარებისათვის უვარგისი კომბინატს უკან დაუბრუნა 26 ცალი კომბინირებული კარადები, რისთვისაც 978 მანეთი მარტო ჯარიმა გადაახდევინა. თუ ამ ციფრს დავუმატებთ სხვა სავაჭრო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილ ჯარიმებს, მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადაყვანის შედეგად მიღებულ ფასთა სხვაობას და დაბრუნებული ავეჯის გადაკეთებაზე გაწეულ ხარჯებს, წუნის ტვირთი კიდევ უფრო მძიმედ წარმოგვიდგება. ბათუმელ მეავეჯეებს უხეირო, ულამაზო პროდუქციის გამოშვების საქმეში მხარდამხარ მიჰყვებიან ქუთაისელი და ცხინვალელი თანამოსაქმეები. ამ საწარმოების ეკონომიკას შავ ლაქად გაჰყვება წუნით გამოწვეული ზარალი.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ საწარმოთა ხელმძღვანელებმა აშკარად მოადუნეს კონტროლი ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტად დაცვისადმი, დაივიწყეს ადამიანებთან მუშაობა.

ლამაზ, მოხდენილ ნაწარმს ვერც ჩვენი სამკერვალო ფაბრიკების კოლექტივები დაიკვეხნიან. აქ სერიოზული ნაკლია ტანსაცმლის კონსტრუირებისა და მოდელირების საქმეში. სამკერვალო ფაბრიკები ვერა და ვერ დაეუფლნენ კერვის ტექნოლოგიას. მაღაზიები სავსეა ტანსაცმლით, მაგრამ მომხმარებელი დაეძებს თავის სარგოს, თანამედროვე მოდელის ლამაზად შეკერილ პალტოს, კოსტიუმს და სხვა ტანსაცმელს. ანალოგიური მდგომარეობაა ფეხსაცმლის საწარმოებში.

საფაბრიკო მარკის ღირსებისათვის, წარმოების მაღალი კულტურისათვის და მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავს რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის ზოგიერთი საწარმოს კოლექტივი. ამ საქმეში განსაკუთრებით სცოდავს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა. ამ საწარმოს წუნდებული პროდუქციის წყალობით რესპუბლიკის და ამიერკავკასიის მანქანათსამშენებლო ბევრი ქარხნის რიტმული მუშაობა ირღვევა, ვინაიდან წარმოების მიერ გამოშვებული ფოლადისა და თუჯის სხმული სანახევროდ უვარგისია. ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი. 1962 წელს ფოლადისა და თუჯის სხმულის წუნით გამოწვეულმა ზარალმა 247 ათასი მანეთი შეადგინა. მოსალოდნელი იყო, რომ შვიდწლედის მეხუთე წელს მაინც გაუმჯობესდებოდა სხმულის ხარისხი. მოხდა პირიქით. მარტო მიმდინარე წლის ათ თვეში წუნით გამოწვეულმა ზარალმა 207 ათას მანეთს გადააჭარბა.

ნაკეთობათა ხარისხისადმი გულგრილი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ამგვარი ფაქტები სერიოზულ ზიანს აყენებს სახელმწიფოს ინტერესებს, მომხმარებელს. საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ ზრუნვა პროდუქციის ხარისხისათვის, უზრუნველყონ ტექნოლოგიის ზუსტად და განუხრელად დაცვა. საჭიროა ყოველნაირად ავამაღლოთ წარმოებაში ტექნიკური კონტროლის როლი, ამ საქმეში ჩავაბათ გამოცდილი, კვალიფიციური კადრები. ისე უნდა მოვაწყოთ მუშაობა, რომ დღითიდღე იზრდებოდეს ყველა მუშის ოსტატობა, ტექნიკური ცოდნა. უნდა მოვაწყოთ იმ ახალგაზრდების სისტემატური სწავლება, რომლებიც საწარმოს ემატებიან, უკეთ დავაყენოთ მათთვის მოწინავეთა გამოცდილების გადაცემა. ამავე დროს საჭიროა შეიქმნას ფართო საზოგადოებრივი აზრი იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ვინც სახელს უტეხს საფაბრიკო მარკის ღირსებას.

ჩვენი საწარმოები შეიარაღებული არიან უახლესი ტექნიკით, ჰყავთ მაღალკვალიფიციური მუშები, აქვთ ყველა საშუალება იმისათვის, რომ გამოუშვან მაღალი ხარისხის პროდუქცია და კიდევაც უნდა გამოუშვან.

# შაქრის ჭარხლის ოქროს ჰექტარები

### შაქრის ჭარხლის აღება და დამზადება

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი ძვირფასი კულტურაა შაქრის ჭარხალი. წელს შაქრის ჭარხლის ნათესებს 4.121 ჰექტარი ეჭირა. ჩვენმა მეჭარხლეებმა კარგად მოუარეს ნათესებს, ფართოდ დანერგეს ცნობილი მექანიზატორის სვეტლიჩნის მეთოდი, და მოსავალიც ცუდი როდია.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 20 ნოემბრის ცნობებით აღებულია 3.555 ჰექტარი შაქრის ჭარხალი. დავალება შესრულებულია 86,3 პროცენტით. გეგმით სულ უნდა დამზადდეს 120.000 ტონა სქარხნო შაქრის ჭარხალი, დამზადებულია 92.711 ტონა.

გორის საწარმოო სამმართველოს მეჭარხლეებს აღებული აქვთ 1.854 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, გეგმა შესრულებულია 88,5 პროცენტით. გორელებმა უკვე დაამზადეს 57.044 ტონა შაქრის ჭარხალი, რაც დავალების 84,3 პროცენტს შეადგენს. ხაშურის საწარმოო სამმართველოში აღებულია 1.232 ჰექტარი შაქრის ჭარხალი და დამზადებული აქვთ 25.866 ტონა ნედლეული, ანუ გეგმის 69,3 პროცენტი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გეგმით ასაღებია 637 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, აღებულია 469 ჰექტარი, ხოლო დამზადებულია 9.801 ტონა ნაცვლად 15.000 ტონისა.

ამ დღეებში უფრო გაძლიერდა შაქრის ჭარხლის აღებისა და დამზადების ტემპი. ყველა პირობაა იმისათვის, რომ წელს შაქრის ჭარხლის დამზადების დავალება წარმატებით შესრულდეს.

## „ტკბილი პლანტაციის" ბარაქა

ვ ირიფონის თვალწარმტაც ველზე მეჭარხლეებს ხვავიანი შემოდგომა დაუდგათ. ახლა ყველანი — ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა — საკოლმეურნეო მინდორში ტრიალებენ, იმკიან შვიდწლედის მეხუთე წლის ნაამაგარს.

გორის საწარმოო სამმართველოში ყველა ქებით იხსენიებს სოფელ ფლავის კოლმეურნეობას. აქაურმა მეჭარხლეებმა წელს საგულდაგულოდ მოუარეს შაქრის ჭარხლის ნათესებს, და შედეგიც სააშკარაა. კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე 900 ცენტნერამდე შაქრის ჭარხლის მოსავალს იღებენ, გეგმა კი 400 ცენტნერია.



ყველა უქებს მარჯვენას მერვე ბრიგადის წევრებს, რომელსაც ვიქტორ ფინდიშვილი ხელმძღვანელობს, ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე 1.300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღო! ეს სარეკორდო მოსავალი მერვე ბრიგადის წევრთა დაუღალავი, ბეჯითი შრომის შედეგია. ასეთი ფაქტები სხვა ბრიგადებშიც არის.

ფლაველი მეჭარხლეები მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებასთან ერთად ყოველდღიურად ავტომანქანებით ეზიდებიან შაქრის ჭარხალს მიმღებ პუნქტებში.

• • •

სურათზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ეცადაშვილი (შუაში), ბრიგადირი ვ. ფინდიშვილი და აგრონომი ო. თენაძე ათვალიერებენ ჭარხლის ახალ მოსავალს.

ფოტო შ. კუკულავასი.

## ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება გაგრძელებულია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნოვოტნიმ და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ი. ლენარტმა 27 ნოემბერს კრემლში ხელი მოაწერეს ოქმს, რომ 20 წლით გააგრძელონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც ორივე სახელმწიფოს შორის დაიდო 1943 წლის 12 დეკემბერს.

ხელმოწერას დაესწრნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ნ. მ. შვერნიკი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი და სხვები.

ჩეხოსლოვაკიის მხრივ იყვნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები: ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ო. შიმუნეკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერნიკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ფ. გამოუზი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ელჩი საბჭოთა კავშირში ო. პავლოვსკი.

იმავე დღეს ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ და შეთანხმებას საბჭოთა კავშირის მონაწილეობის შესახებ რკინიგზის ხაზის მშენებლობაში საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის საზღვრიდან ქალაქ კოშიცემდე (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა). (საქდესი).

## ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

27 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კრემლის დიდ სასახლეში გამართეს სადილი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი.

სადილზე ჩეხოსლოვაკიის მხრივ ამხანაგ ა. ნოვოტნისთან ერთად იყვნენ: ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ი. ლენარტი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ო. შიმუნეკი და სხვა ოფიციალური პირები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი და სხვები.

სადილზე ნ. ს. ხრუშჩოვმა და ა. ნოვოტნიმ წარმოთქვეს მეგობრული სადღეგრძელოები.

სადილმა ძმური მეგობრობის, გულთბილობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

## ლ. ჯონსონისა და ა. ი. მიქოიანის შეხვედრა

ვაშინგტონი, 26 ნოემბერი. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი დღეს თეთრ სახლში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პრეზიდენტს ლინდონ ბ. ჯონსონს.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ, რომელიც დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა, ა. ი. მიქოიანმა უამრავ ამერიკელ და უცხოელ კორესპონდენტს, რომლებიც თეთრი სახლიდან მის გამოსვლას ელოდებოდნენ, განუცხადა:

„მე და პრეზიდენტ ჯონსონს სასიამოვნო საუბარი გვქონდა და უნდა ითქვას, რომ ჩვენ კმაყოფილი ვართ ამ საუბრით. იგი ეხებოდა საკითხებს, რომლებიც საინტერესოა ორივე მხარისათვის.

სასიამოვნო შთაბეჭდილება მაქვს-მეთქი, ვინაიდან პირველად როდი ვხვდები პრეზიდენტ ჯონსონს. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით 1959 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემი ვიზიტის დროს. ჯერ კიდევ მაშინ გვქონდა სასიამოვნო საუბარი. და ახლა მე განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ ამ შეხვედრით".

## ა. ი. მიქოიანი შეხვდა ა. დუგლას-ჰიუმს

ვაშინგტონი, 27 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ საღამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი შეხვდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ალეკ დუგლას-ჰიუმს, რომელიც ვაშინგტონში იმყოფება. საუბრის დროს, რომელმაც საათნახევარზე მეტ ხანს გასტანა, ისინი შეეხნენ ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებს.

## მიქოიანი შეხვდა დ. რასკს

ვაშინგტონი, 27 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ ნაშუადღევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს დ. რასკს და ესაუბრა მას საკითხებზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს.

ა. ი. მიქოიანთან ერთად საუბარს საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი, ამერიკის შეერთებული შტატების განყოფილების გამგე მ. ნ. სმირნოვსკი. ამერიკის მხრივ იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ა. ჰარიმანი, სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანაშემწე საბჭოთა საკითხებში ლ. ტომპსონი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ევროპის საქმეებში რ. დევისი.

ისევე როგორც გუშინ დილით თეთრ სახლში, ა. ი. მიქოიანის რასკთან შეხვედრის დამთავრებას, რაც საათნახევარს გაგრძელდა, მრავალი კორესპონდენტი უცდიდა. როცა ა. ი. მიქოიანი დ. რასკის კაბინეტიდან გამოვიდა, კორესპონდენტები გარს შემოერტყნენ და ჰკითხეს, ხომ არ შეგიძლიათ გვაცნობოთ დ. რასკთან თქვენი საუბრის შინაარსიო.

„შემიძლია, — უპასუხა ა. ი. მიქოიანმა,—მაგრამ ვერ გაცნობებთ იმდენს, რამდენიც თქვენ გსურთ". ამის შემდეგ ა. ი. მიქოიანმა კორესპონდენტებს უთხრა: „ჩვენ განვიხილეთ საკითხები, რომლებსაც პირველად როდი ეხებიან საუბრის დროს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები. განვიხილეთ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები და, კერძოდ, განიარაღების პრობლემა. ვცდილობდით გამოგვენახა იმის მეთოდები, თუ როგორ წავწიოთ წინ განიარაღების საქმე, რომელიც ძალიან ნელა მიიწევს წინ, ან სრულებითაც არ მიიწევს. ჩვენ გამოვნახეთ გზები, რათა განვაგრძოთ მოლაპარაკება განიარაღების შესახებ".

კორესპონდენტებმა ა. ი. მიქოიანს ჰკითხეს, ჰქონდა თუ არა დ. რასკთან შეხვედრის დროს მსჯელობა ევროპის საკითხებზე. ა. ი. მიქოიანმა უპასუხა, რომ მათ განიხილეს ასეთი საკითხები.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია 1963 წლის 24 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი. 1963 წლის 27 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. გ. ა. ჯიმშელეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და ჰიდროენერგეტიკის განვითარების დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. გალაქტიონ ათანასეს-ძე ჯიმშელეიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი, 1963 წლის 27 ნოემბერი.

## მეგობარ იუგოსლავიაში მგზავრობიდან დაბრუნდნენ

მოსკოვი, 26 ნოემბერი. (საქდესი). დღეს ბელგრადიდან დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი კ. ტ. მაზუროვი.

საბჭოთა პარლამენტარები იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ საპასუხო მეგობრულ ვიზიტად საკავშირო სკუპშჩინის მიწვევით.

## მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და ათეისტური აღზრდის საკითხები

25 და 26 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური კომისიის გაფართოებული სხდომა. რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო კომიტეტებისა და საოლქო კომიტეტების მდივნებმა, ცენტრალური იდეოლოგიური დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელმა მუშაკებმა, მეცნიერებმა, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, უმაღლესი და საშუალო სკოლის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, ათეიზმის პროპაგანდისტებმა.

მოხსენება „მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და ათეისტური აღზრდის საკითხები" წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური კომისიის თავმჯდომარემ ლ. თ. ილიჩოვმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნებმა ვ. ფ. შაურომ, ა. ს. ბარკაუსკასმა, რ. ნიშანოვმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგემ გ. გ. შეველმა, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა ა. ა. ეპიშევმა, უკრაინის კომპარტიის ლვოვის სამრეწველო საოლქო კომიტეტის მდივანმა ვ. ვ. მალანჩუკმა, პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ი. ა. ლავრიკოვმა, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ნ. ფ. ივანკოვიჩმა, ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. პ. პავლოვმა, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ტ. ნ. ნიკოლაევამ, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა ვ. პ. ელიუტინმა და სხვებმა.



ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ლინდონ ბ. ჯონსონი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ფ. დობრინინი (ცენტრში).

ტელეფოტო აპ-საქდესისა.

## ჯონსონის გამოსვლა რადიოთი

ვაშინგტონი, 27 ნოემბერი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი გუშინ შეხვდა ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობენ ამერიკის „პროგრესის კავშირის" პროგრამაში. ამ შეხვედრის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გამოვიდა რადიოთი და ტელევიზიით. მან განაცხადა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების მომავალზე განსაკუთრებით უნდა იზრუნონ შეერთებულმა შტატებმა. მე ვადასტურებ, თქვა ჯონსონმა, ვალდებულებებს, რომლებიც ყოფილმა პრეზიდენტმა კენედიმ იკისრა, როცა „პროგრესის კავშირის" პროგრამა წამოაყენა.

## დალასი — რეაქციონერთა ბუნაგი

ლონდონი, 27 ნოემბერი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის მკვლელობასთან დაკავშირებით, რაც დალასში მოხდა, ინგლისის გაზეთ „დეილი ექსპრესის" კორესპონდენტს დევიდ ინგლიშს მოჰყავს საინტერესო მონაცემები ამ ქალაქის შესახებ. იგი წერს:

დალასში ცხოვრობს 1.250 ათასი კაცი. ამბობენ, რომ ამ ქალაქში 460 მილიონერია.

თუ ფული მოდის, რაღაცას უნდა ხმარდებოდეს კიდეც, და ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი მემარჯვენე ექსტრემისტების ზანდუკებში მიდის.

ავიღოთ, მაგალითად, 74 წლის ნავთობის მეფე ჰაროლდსონ ჰანტი, ვისი შემოსავალიც ცნობების თანახმად, 1 მილიონ დოლარს შეადგენს დღეში. იგი არჩენდა ბევრ საეჭვო პიროვნებას, მათ შორის განსვენებულ, ამჟამად სრულიად დაუტირებელ სენატორ მაკარტის.

ჰანტი „ჯონ ბერჩის საზოგადოების" — მემარჯვენე ფანატიკოსთა ჯგუფის თაყვანისმცემელია. მემარჯვენე ფანატიკოსთა მეთაური ფიქრობს, რომ ყოფილი პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი კომუნისტური პარტიის წევრია და აქვს ამ პარტიის წევრობის ბილეთი.

დალასში ბევრია „ჯონ ბერჩის საზოგადოების" წევრი, მაგრამ უფრო მრავალრიცხოვანია „ეროვნული აღშფოთების საბჭო", რომლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ფრენკ მაკგიმ ამ ცოტა ხნის წინათ მოითხოვა, რომ სამართალში მიეცათ პრეზიდენტი კენედი სახელმწიფო ღალატისათვის.

კონგრესის წევრს ქალაქ დალასიდან ბრიუს ელჯერს ფართო ურთიერთობა აქვს ამ ჯგუფებთან. იგი თავის თავს „ულტრაკონსერვატორს" უწოდებს, და, ბევრი აქაური მცხოვრების აზრით, უკანასკნელ წლებში ხელიც კი არ გაუნძრევია, რომ შეენელებინა ბოროტი სიძულვილი, რომლითაც გამსჭვალულია დალასის მთელი სისტემა.

## შეხვედრა თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 27 ნოემბერი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა გუშინ თეთრ სახლში მიიღო დასავლეთ გერმანიის კანცლერი ლ. ერჰარდი, დასავლეთ გერმანიის პრეზიდენტი ლუბკე და საგარეო საქმეთა მინისტრი შრედერი. საუბარმა დაახლოებით 30 წუთს გასტანა.

„ვაპირებ კვლავ ჩამოვიდე აქ რამდენიმე კვირის შემდეგ საქმიან ვიზიტად", — განაცხადა ჯონსონთან შეხვედრის შემდეგ კანცლერმა ერჰარდმა.

## საბჭოთა კოსმონავტების მოგზაურობა

კოლომბო, 27 ნოემბერი. საქდესის კორესპონდენტი ა. მატიუშინი იტყობინება:

გუშინ საბჭოთა კოსმონავტებმა ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ, ა. ნიკოლაევმა, ვ. ბიკოვსკიმ დაამთავრეს მოგზაურობა ცეილონში და დაბრუნდნენ კოლომბოში, სადაც პრეს-კონფერენცია მოაწყეს ცეილონის პრესის წარმომადგენლებისათვის.

## უკანასკნელი საათის

## სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 1963 წლის 26 ნოემბერს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვლადიმერ ალექსის-ძე კუჩერენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის მინისტრი, სსრ კავშირის მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# ხალხთა ლენინური მეგობრობა

**ამიერკავკასიის ისტორიკოსების სამეცნიერო სესიაზე**

[illegible] გადაზრდის ძირითად კანონზომიერებათა გამოკვლევა. კომუნისტური აღზრდის პრობლემების დამუშავება.

სკკპ პროგრამიდან.

ხალხთა ლენინურ მეგობრობას მიეძღვნა სამეცნიერო სესია, რომელიც 25 ნოემბერს გაიხსნა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის დიდ კონფერენც-დარბაზში. სესია მოიწვია სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების ისტორიის ინსტიტუტებისა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფილიალების მონაწილეობით.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარე **გ. ნ. ბოჩკარიოვი**, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ნ. ზარობიანი**, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ე. ქოჩინიანი**, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **ო. მ. ბალდასარიანი**, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლ. ა. სტეპანიანი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი თანამშრომელი **ნ. ნ. სოფინსკი**, ამიერკავკასიის, მოსკოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების თვალსაჩინო ისტორიკოსები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ნ. ზარობიანმა**.

სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ის მიესალმა მოსკოვიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან და სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ სტუმრებს, რომლებიც სესიის მუშაობაში მონაწილეობენ.

მოძმე რესპუბლიკების გაერთიანებული სამეცნიერო სესიები, — თქვა ამხ. ი. ნ. ზარობიანმა, — ჩვენში გახდა მშვენიერი ტრადიცია, რომელიც ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ურ- [illegible] რების რევოლუციურ გარდაქმნაში. ეს არის სწორედ ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნამდვილი ტრიუმფი.

რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთებას, აღნიშნა შემდეგ ამხ. ი. ნ. ზარობიანმა, უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ხალხებისათვის. ამან ხელი შეუწყო ამიერკავკასიის ხალხთა კიდევ მეტ დაახლოებას დიდ რუს ხალხთან და მათს უფრო მჭიდრო დაახლოებას ერთმანეთთან.

აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი ხალხების მოწინავე მოაზროვნეები ყოველთვის იბრძოდნენ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის.

XIX საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში, რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის გავლენით შეიქმნა პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი შემადგენლობით ინტერნაციონალური იყო და პროლეტარული კალაპოტით წარმართავდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. რუსეთის სამი რევოლუციის გრიგალში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით კიდევ უფრო განმტკიცდა ბოლშევიკურ ორგანიზაციათა და, მაშასადამე, ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური კავშირურთიერთობა, რაზედაც აღტაცებით ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი.

ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ბრძოლას სათავეში უდგნენ ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფეები და თანამებრძოლები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დამცველები: სტეფანე შაუმიანი, ალიოშა ჯაფარიძე, მეშადი აზიზბეკოვი, სერგი მირონის-ძე კიროვი, ანასტას მიქოიანი, სერგო ორჯონიკიძე, ალექსანდრე მიასნიკიანი, ნარიმან ნარიმანოვი და ბევრი სხვა — ამიერკავკასიის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ამიერკავკასიაში შემობრუნების პუნქტი გახდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხალხთა ისტორიაში. საბჭოთა ხელისუფლებამ პრინციპულად ახალი შინაარსი შეიტანა ჩვენი ხალხების ეროვნულ მეგობრობაში: იგი გადაიქცა ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხის ძმობად.

ჩვენი ხალხების მეგობრობის ხელმძღვანელი და შემაკავშირებელი ძალაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ლენინური ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი შედეგი და სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარია ეროვნული საკითხის გადაჭრა ჩვენს ქვეყანაში.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, მწარმოებელი ძალების სწრაფი განვითარება და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა კიდევ უფრო ამაღლებს იმის შეგნებას, რომ საჭიროა ჩვენი ხალხების შემდგომი დაახლოება, მათი ეკონომიური და იდეური ერთობის ზრდა.

ჩვენი პარტიის ახალი პროგრამის, სკკპ XX და XXII ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით მტკიცედ და თანმიმდევრულად მიჰყავს ჩვენი ქვეყანა ლენინური კურსით და უზრუნველყოფს დიდი საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სწრაფ განვითარებას. პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისათვის, იგი განიხილავს საკითხს ქიმიური მრეწველობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესახებ, რომელიც იმის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, რომ რაც შეიძლება სწრაფად შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჩვენს ქვეყანაში.

სკკპ XXII ყრილობის შემდეგ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია მოძმე რესპუბლიკების ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის, სოციალისტური ერების სულ უფრო დაახლოებისათვის, მათი სრული ერთობის მიღწევისათვის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს შექმნა კიდევ ერთი ნაბიჯი იყო ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიური და კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის გაძლიერების გზაზე, მათი შემდგომი შეკავშირებისათვის პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურომ მოკლე პერიოდში ცოტა მუშაობა როდი გასწია ამ მიმართულებით. ამიერკავკასიის ბიუროს ხელმძღვანელობის მონაწილეობა ამ სესიის მუშაობაში მოწმობს, რომ ჩვენი პარტიის ეს ახალი ორგანო დიდ ყურადღებას უთმობს ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეს. სკკპ XXII ყრილობამ განსაკუთრებული ძალით გაუსვა ხაზი იმას, რომ **„იდეოლოგიური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება და გაძლიერება პარტიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, მთელი მისი პრაქტიკული საქმიანობის წარმატების უმნიშვნელოვანესი პირობაა".**

პარტიის იდეოლოგიურ მუშაობაში,— აღნიშნავს ამხ. ი. ნ. ზარობიანი, — მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მუშაობას მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის. ამ სამეცნიერო სესიის მიზანი სწორედ ეს არის.

დასასრულ ამხ. ი. ნ. ზარობიანმა თქვა: საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა ჩვენი კომუნისტური საზოგადოების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. მაშ განვამტკიცოთ ეს მეგობრობა, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა მოვაახლოოთ ნათელი მომავალი — კომუნიზმი.

პირველმა გააკეთა მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარემ **გ. ნ. ბოჩკარიოვმა: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური და კულტურული თანამეგობრობა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში".**

# ჩვენი ძალაა ძმური მეგობრობა

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის გ. ნ. ბოჩკარიოვის მოხსენებიდან

სამეცნიერო სესიის დღის წესრიგში დგას ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი ამიერკავკასიის მშრომელთა ძირეული ინტერესების შესახებ, როგორიც არის ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური და კულტურული თანამეგობრობა.

უკანასკნელ ხანს მთელი რიგი ერთობლივი რესპუბლიკათშორისი ღონისძიებანი განხორციელდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის დარგში პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული ისეთი ამოცანების შესასრულებლად, როგორიც არის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება რესპუბლიკებს შორის, სოციალისტური ერებისა და ეროვნული კულტურების დაახლოება, მშრომელთა აღზრდა კომუნიზმისა და ინტერნაციონალიზმის ცხოველმყოფელი იდეების სულისკვეთებით.

ამასთან დაკავშირებით სასიამოვნოა აღვნიშნოთ სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის საყურადღებო ინიციატივაც. სამეცნიერო სესიაზე დასმული ეს საკითხი, მოწმობს, რომ გაიზარდა ჩვენი ისტორიკოსების ინტერესი თანამედროვეობის პრობლემებისადმი, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საერთო სახალხო საქმეში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური და კულტურული თანამეგობრობა ისტორიული აუცილებლობაა. მას განაპირობებს ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორები, მთელი ისტორია ამიერკავკასიის ხალხთა განვითარებისა და მათი ბრძოლისა თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, ბედნიერების უფლებისათვის. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხალხთა საუკუნეობრივ ერთობლივ ბრძოლას გარეშე მტრებისა და თავიანთი კლასობრივი დამმონებლების წინააღმდეგ მოჰყვა მათი ურღვევი ძმობა, ხოლო შემდეგ ძმობა დიდ რუს ხალხთან და, საბოლოო ანგარიშით, გაერთიანება ხალხთა დიდ თანამეგობრობად — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის, კომუნისტების როლს, რომლებიც მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას მეთაურობდნენ.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების აკვანი დაარწია დიდმა ლენინმა, რომელმაც მამობრივი ზრუნვა გამოიჩინა მათი განმტკიცებისათვის, ეკონომიური და კულტურული აყვავებისათვის. ვლადიმერ ილიას-ძე არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა თანამშრომლობის შემდგომი განვითარება ამიერკავკასიის მშრომელთა შორის. როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინის წერილს **„აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგი კომუნისტებისადმი"** საპროგრამო მნიშვნელობა ჰქონდა ყველა ამ საკითხის წარმატებით გადაჭრისათვის.

ლენინური ეროვნული პოლიტიკა ითვალისწინებდა, რომ მოკლე ვადაში აღმოეფხვრათ ეკონომიური უთანასწორობა რუსეთის ეროვნულ განაპირა მხარეებსა და ცენტრალურ ნაწილს შორის, გაეფანტათ უნდობლობის ატმოსფერო, რაც ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა შექმნეს, განემტკიცებინათ ხალხთა მეგობრობა და ერთობა, მხარის ყველა მშრომელის მთელი მეცადინეობა წარემართათ ამ რესპუბლიკების მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის აღმავლობისათვის.

ხალხთა მასების ურთიერთდახმარების, მათი შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების მეოხებით საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი განუხრელად ადგნენ სოციალისტურ გარდაქმნათა გზას.

ამხ. გ. ნ. ბოჩკარიოვმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა მეგობრობა და თანამშრომლობა დიდ რუს ხალხთან და სსრ კავშირის სხვა ხალხებთან უმნიშვნელოვანესი პირობა იყო იმისათვის, რომ მოეპოვებინათ შესამჩნევი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში. ეს მეგობრობა ახალი ძალით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებსა და მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ომისშემდგომ წლებში. უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრა ომის შედეგები, მიღწეულია ახალი აღმავლობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ჩვენი დიადი ლენინური პარტია თვალისჩინივით უფრთხილდება კავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური თანამშრომლობის სახელოვან ტრადიციებს, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს ისეთმა ერთგულმა ლენინელებმა, როგორიც არიან შაუმიანი, ჯაფარიძე, ა. მიქოიანი, ფიოლეტოვი, აზიზბეკოვი, ორჯონიკიძე, კიროვი, მიასნიკიანი, ნარიმანოვი და ძველი რევოლუციური გვარდიის ბევრი სხვა წარმომადგენელი.

გამოსვლაში საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა თქვა:

**„იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები ყოველთვის მოქმედებდნენ შეკავშირებულად, მხარდამხარ იდგნენ და ზრდიდნენ მასებს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მათი გამარჯვებისათვის მუშათა კლასის ყველა მტერზე".**

ახალი დიდებული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, რომლებიც სკკპ XXII ყრილობამ, პარტიის პროგრამამ დასახეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში, საჭიროა რესპუბლიკების კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა და ურთიერთდახმარება.

ეჭვს არ იწვევს, რომ შრომის დანაწილება სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გზით ისეთი მსხვილი ეკონომიური რაიონის ფარგლებში, როგორიც არის ამიერკავკასია, ხელს შეუწყობს იმას, რომ უმცირესი დანახარჯებით მოკლე ვადაში მივაღწიოთ მაქსიმალურ ეკონომიურ ეფექტს, დავაჩქაროთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა.

ამიერკავკასიის ეკონომიური რაიონი, რომელიც აერთიანებს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სს რესპუბლიკებს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი რაიონია, სადაც არის განვითარებული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ფართო ქსელი.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში რესპუბლიკებს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მიღწეული წარმატებანი დამაჯერებლად ადასტურებენ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელებს შეუძლიათ შეასრულონ ყოველი ამოცანა. ამიერკავკასიის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპმა მნიშვნელოვნად გაუსწრო ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების ტემპს. ამერიკის შეერთებულ შტატებში 10 წლის განმავლობაში მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 29 პროცენტით გაიზარდა. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 2,5-3-ჯერ გაიზარდა. ამჟამად მარტო აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში უფრო მეტ ელექტროენერგიას უშვებენ, ვიდრე თურქეთში, ირანში, პაკისტანსა და ავღანეთში ერთად.

გ. ნ. ბოჩკარიოვი ლაპარაკობს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შესახებ და მაგალითისათვის ასახელებს საბინაო მშენებლობას. შვიდწლედის დასაწყისიდან, აღნიშნავს იგი, — ამიერკავკასიის რესპუბლიკებში აშენდა 10 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლი, **რაც თითქმის ორჯერ მეტია საბინაო მშენებლობის მოცულობაზე მეხუთე ხუთწლედის მთელ პერიოდში.** აშენდა ასობით სკოლა და სკოლა-ინტერნატი, საბავშვო ბაღები და ბაგები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს დიდი პერსპექტივა აქვთ თავიანთი შემდგომი განვითარებისათვის.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურო პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის საფუძველზე მთელ თავიანთ მეცადინეობას ახმარენ შემდგომ სამეურნეო დაახლოებას, რესპუბლიკათშორისო კოოპერირების გაღრმავებას, ამიერკავკასიის ეკონომიური რაიონის შიგნით ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის მუშაობის გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარებას.

მიმდინარე წლის ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში მოეწყო ამიერკავკასიის თათბირები: ქიმიკოსთა თათბირი ქალაქ ბაქოში, მშენებელთა — ქალაქ ერევანში, რესპუბლიკათშორისო თათბირ-სემინარები მებოსტნეობის, მეცხოველეობის საკითხებზე და სხვ.

ეკონომიური თანამშრომლობა რესპუბლიკების ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი წყაროა.

იმის შესახებ, თუ რა ეკონომიურ სარგებლობას იძლევა მონათესავე საწარმოთა გაერთიანება, სპეციალიზაცია და კოოპერირება, შეიძლება ვიმსჯელოთ, თუნდაც შემდეგი მაგალითით, შენიშნავს მომხსენებელი. ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანებამდე ხშირი იყო ლოკომოტივებისა და მატარებელთა ბრიგადების მუშაობის რეჟიმის გაუმართლებელი დარღვევის შემთხვევები. რკინიგზების გაერთიანების შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მთელ გზაზე მატარებელთა მუშაობის ცვლებისა და სადღეღამისო ერთიანი გრაფიკის დანერგვის შედეგად. ნორმასთან შედარებით 10 პროცენტით გადიდდა ვაგონების ბრუნვა. რკინიგზამ საერთოდ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა და მას მიმდინარე წელს უკვე ორჯერ გადაეცა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გარდამავალი წითელი დროშა.

ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა, რაც უზრუნველყოფს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანა-ტრაქტორთა პარკის მაღალმწარმოებლურ გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დროული და მაღალხარისხიანი რემონტი. ახლა დტ-54 ერთი ტრაქტორის კაპიტალური რემონტის ღირებულება დაახლოებით 783 მანეთს შეადგენს. სულ ამიერკავკასიაში ერთი წლის განმავლობაში აწარმოებენ 5 ათასზე მეტ ასეთ რემონტს. თუ მოვახდენთ კაპიტალური რემონტის სპეციალიზაციას, მაშინ ერთი ტრაქტორის შესაკეთებლად დაიხარჯება სულ ბევრი 600 მანეთი, რაც საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ 1 მილიონამდე მანეთი წელიწადში. ამასთან რემონტის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, შეიძლება გადავიდეთ საგარანტიო რემონტზე.

ეს მხოლოდ პატარა მაგალითებია, ამბობს მომხსენებელი, ხოლო სპეციალიზაცია და კოოპერირება უნდა ხორციელდებოდეს ფართო მასშტაბით ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რამაც ასობით მილიონი მანეთის ეკონომია უნდა მოგვცეს. სამწუხაროდ, ამ გზაზე ვხვდებით ბევრ უძრაობასა და რუტინას, იმის შიშს, რომ დაირღვევა წარმოების ორგანიზაციის ნაჩვევი ფორმები.

დიდი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ წლებში ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას, მუშაობის გამოცდილების გაზიარებას, ურთიერთდახმარებას კადრების მომზადებასა და საწარმოო ურთიერთობის სხვა ფორმებში, რომლებიც დამყარდა მოძმე რესპუბლიკების სამრეწველო საწარმოებს შორის, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, რაიონებსა და ქალაქებს შორის.

უკვე რამდენიმე წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან რუსთავის მეტალურგიული და აზერბაიჯანის მილსაგლინავი ქარხნების, ბაქოსა და ერევნის სალტის ქარხნების, ქუთაისის, კიროვაბადისა და ლენინაკანის საფეიქრო კომბინატების კოლექტივები და ბევრი სხვა. შეჯიბრება უდიდესი მორალური სტიმულია და დიდ როლს ასრულებს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში, მათს ინტერნაციონალურ აღზრდაში.

იგივე შეიძლება ითქვას სოფლის მეურნეობის შესახებაც. ერთმანეთს ეჯიბრებიან აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოები, ცალკეული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ჩვენი პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს ქიმიური მრეწველობის განვითარებას. ცნობილია, რომ 9 დეკემბერს სპეციალურად ამ საკითხზე გაიმართება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ახალი მძლავრი ბიძგი იქნება ქიმიური მრეწველობის განვითარებაში.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ უახლოეს წლებში უზრუნველყონ ქიმიური მრეწველობის მძლავრი განვითარება ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ქიმიკოსებმა მოიპოვეს გარკვეული წარმატებანი აზოტოვანი სასუქების, ჰერბიციდების, სუპერფოსფატის, შხამქიმიკატებისა და სხვათა წარმოებაში. დიდი მუშაობა ხორციელდება მცენარეთა დაცვის უკვე არსებულ ქიმიურ საშუალებათა წარმოების გადიდებისა და ახლის შესაქმნელად.

გარკვეული მუშაობაა გაწეული კოოპერირების განხორციელებისათვის ქიმიურ მრეწველობაში. ეკონომიური ურთიერთდახმარების მკაფიო მაგალითია ის, თუ როგორ გამოიყენეს აზერბაიჯანის ბუნებრივი გაზი სომხეთმა და საქართველომ ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის.

მაგრამ, როგორც ქიმიის განვითარებას მთლიანად, ისევე, კერძოდ, კოოპერირებასა და ეკონომიური ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის სხვა ფორმებს ამიერკავკასიის ქიმიური მრეწველობის დარგში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს.

ქიმიური მრეწველობის ბევრი საწარმო ვერ ასრულებს გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს. ვერ სრულდება აგრეთვე დიდი ქიმიის ახალ საწარმოთა ამუშავების გეგმა.

ეკონომიური თანამეგობრობის წარმატების უცილობელი პირობაა მგეგმავი ორგანოების მუშაობის კოორდინაცია.

ახლა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ძალიან მწვავედ სვამენ სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხს. ამიერკავკასიის ეკონომიურ რაიონს აქვს ყველა რესპუბლიკისათვის საერთო წყლის რესურსების წყაროები. ეს არის მდინარეები არეზი და მტკვარი. რა თქმა უნდა, შეუძლებელია სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების საკითხები თითოეულ რესპუბლიკაში წყდებოდეს ცალ-ცალკე, საერთო ინტერესების გაუთვალისწინებლად, თუ არ იქნება ამ საქმის განვითარებაში ერთიანი დაგეგმვა.

ყველა ამ საკითხის გადაჭრაში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ამიერკავკასიის საგეგმო კომისიამ.

ეკონომიურ თანამშრომლობასთან ერთად, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სულ უფრო მზარდ კულტურულ კავშირს, მოძმე რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებებისა და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითს თანამეგობრობას.

ასრულებენ რა პარტიის მითითებებს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ახორციელებენ ამიერკავკასიის მშრომელთა კულტურული თანამეგობრობისა და მათი ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

სულ უფრო მტკიცდება კავშირი სამეცნიერო დაწესებულებებს შორის, ტრადიციად იქცა ერთობლივი სამეცნიერო სესიების მოწყობა, კოლექტიური ნაშრომების შექმნა; ხდება სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია ბევრი აქტუალური პრობლემის შემუშავებაში.

დიდ მოწონებას იმსახურებს აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ინიციატივა, რომ შეიქმნას კოლექტიური ნაშრომი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცების შესახებ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

ამიერკავკასიის ისტორიკოსთა დღევანდელი სესია აგრეთვე მოწმობს, რომ მოძმე რესპუბლიკების მეცნიერთა შემოქმედებითი თანამშრომლობა ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის განუყოფელი ნაწილი ხდება.

მრავალგვარია მოძმე რესპუბლიკათა მზარდი კულტურული ურთიერთობის ფორმები. სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და სხვა მოძმე რესპუბლიკების მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, ეწყობა ახალ ნაწარმოებთა ურთიერთ მოსმენა, სურათების გამოფენები და სხვ.

ამ უკანასკნელ წლებში კარგი ტრადიცია გახდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მხატვრული კოლექტივების ურთიერთ გასტროლები. კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითი თანამშრომლობას დიდი სარგებლობა მოაქვს როგორც მათთვის, ისე კადრების ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურო, მხარს უჭერს რა დადებითს გამოცდილებასა და ინიციატივას, თავის მუშაობას წარმართავს რესპუბლიკების თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და იდეოლოგიის ყველა დარგში. ბევრი საინტერესო საკითხი აღიძრა, სასარგებლო აზრი და წინადადება გამოითქვა ამიერკავკასიის იდეოლოგიური დარგის მუშაკთა თათბირზე, რომელიც ქალაქ თბილისში გაიმართა მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

მოძმე რესპუბლიკების მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებთა, აგრეთვე ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ ნაწარმოებთა გამოცემა, ერთობლივი ნომრები და გაცვლითი მასალები გაზეთებსა და ჟურნალებში, მოძმე რესპუბლიკებისადმი მიძღვნილი სპეციალური რადიო-გადაცემები და სატელევიზიო გადაცემები, მეგობრობის საღამოები, კულტურის მოღვაწეთა შეხვედრები და სხვ. — ასეთია იმ ღონისძიებათა არასრული ნუსხა, რომლებიც რესპუბლიკებში ხორციელდება ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის ინტერესებისათვის.

რესპუბლიკების კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება ბაქო-თბილის-ერევნის კავშირგაბმულობის რადიორელეხაზის მშენებლობის დამთავრებას.

მოპოვებული წარმატებები, ხალხთა მეგობრობა, რომელიც წლითიწლობით მტკიცდება, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ გვაქვს ნაკლოვანებები ამ დიდ და პასუხსაგებ მუშაობაში. ეროვნული შეზღუდულობის გამოვლინებებისა და წარსულის სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლა მუდამ არის ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში. პარტიული ორგანიზაციები კვლავაც აწარმოებენ ბრძოლას ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას კომუნიზმის გზით, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის შემდგომ განმტკიცებას.

კომუნიზმის მტრებს ესმით, რომ ჩვენი ძალაა ერთობა, ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა, სოციალიზმის ქვეყნების ხალხთა მეგობრობა, მთელი მსოფლიოს მშრომელთა პროლეტარული სოლიდარობა. ისინი ცდილობენ ლახვარი ჩასცენ ამ მეგობრობას, ნაციონალიზმის შხამით მოწამლონ მშრომელთა შეგნება. ამიტომ ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უდიდესი ამოცანაა ბრძოლა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამხრწნელი გავლენის წინააღმდეგ.

მოხსენების დასასრულს ამხ. გ. ნ. ბოჩკარიოვი ამბობს: წარმატებით მთავრდება შვიდწლედის მეხუთე წელი. მიღწეული შედეგები გვაძლევენ მტკიცე რწმენას, რომ შვიდწლიანი გეგმა, ყველა მისი ძირითადი მაჩვენებელი მთლიანად და გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

ახლა ჩვენ მოგველის დიდი შემოქმედებითი მუშაობა სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების მორიგი ხუთწლიანი გეგმის შესადგენად. ამ მუშაობას განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორად შემუშავებულ გეგმაზეა დამოკიდებული მისი უფრო წარმატებით შესრულება და კომუნისტური მშენებლობის იმ დიადი ამოცანების რაც შეიძლება მალე განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია პარტიის პროგრამით გენერალური პერსპექტივის პირველი ათეული წლისათვის.

ეჭვი არ არის, რომ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომი ამაღლება და განვითარება, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მზარდი ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის დაჩქარებულ განვითარებას, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებას, მშრომელთა აღზრდას მაღალი იდეურობისა და კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულების სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

* * *

მოხსენებაში **„საბჭოთა ხელისუფლებისათვის ამიერკავკასიის მშრომელთა ერთობლივი ბრძოლის ისტორიიდან"**, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **გ. ა. გალოიანმა** ამხილა თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგები, რომლებიც ამაოდ ცდილობენ უარყონ ოქტომბრის რევოლუციის ინტერნაციონალური ხასიათი, აყალბებენ მის ისტორიულ საერთაშორისო მნიშვნელობას.

— მიუხედავად საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებისა, — ამბობს მომხსენებელი, — ისტორიის ბურჟუაზიული გამყალბებლები ცდილობენ უარყონ ის ფაქტი, რომ ამიერკავკასიის მუშები და გლეხები ერთობლივ ინტერნაციონალურ ბრძოლას ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსმა-მდივანმა **ი. ა. ჰუსეინოვმა** თავისი მოხსენება მიუძღვნა საკითხს **სოციალისტური ერების შემდგომი განვითარებისა და დაახლოების შესახებ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.**

ახალ ეტაპს ეროვნული ურთიერთობის დარგში, — თქვა მან, — ახასიათებს ხალხთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განმტკიცება და განვითარება, რასაც, თავის მხრივ, უნდა მოჰყვეს მათი კიდევ უფრო მჭიდრო გაერთიანება ერთიან საბჭოთა სახელმწიფოში. გამარჯვებული სოციალისტური წყობილებისა და კომუნიზმში გადასვლის პერიოდში საბჭოთა ერების განვითარების უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა მათი ყოველმხრივი გაფურჩქვნა და ურთიერთდაახლოება, რაც დიდი პროგრესული ურთიერთდაკავშირებული ობიექტური ტენდენციაა.

ამიერკავკასიაში, აღნიშნავს მომხსენებელი, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ მოწმენი ვართ არა მარტო იმისა, რომ რესპუბლიკები აერთიანებენ ღონისძიებებს ეკონომიკის დარგში, მტკიცდება მათი ურთიერთდახმარება, არამედ აგრეთვე იმისაც, რომ ვითარდება ხალხთა კულტურის საერთო ინტერნაციონალური ნიშნები.

შემდეგ მოხსენება **„ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა რევოლუციური თანამშრომლობის ისტორიიდან"** გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ზ. ვ. ანჩაბაძემ.** მან აღნიშნა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელთა რევოლუციური კავშირურთიერთობა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1905-1907 წლებში) და უმთავრესად კავკასიის ხალხთა რევოლუციური თანამეგობრობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ კავკასიის ხალხთა რევოლუციური თანამეგობრობა ხორციელდებოდა მჭიდრო კონტაქტით რუსი ხალხის რევოლუციურ ბრძოლასთან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. მოხსენებაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ვ. ი. ლენინის როლს კავკასიის მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ინტერნაციონალურ აღზრდაში.

**26 ნოემბერს** მუშაობას განაგრძობდა ამიერკავკასიის ისტორიკოსთა სამეცნიერო სესია.

მოხსენება **„ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ისტორიული ფესვები"** გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სომხეთის ფილიალის დირექტორმა, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ც. პ. აღაიანმა.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა ისევე ძველია, როგორც თვით ეს ხალხები და თქვა, რომ ამ მხარის ხალხთა ეკონომიური ცხოვრების ერთნაირმა პირობებმა ხელი შეუწყეს იმას, რომ ისინი პოლიტიკური და კულტურული განვითარების ერთ გზას დაადგნენ. სწორედ ამიტომ ჰგავს ასე ერთმანეთს მათი სულიერი კულტურა, თქვა მან. ამიერკავკასიის ხალხთა კულტურების ურთიერთგამდიდრებისა და ურთიერთშერწყმის პროცესს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მათი ურღვევი მეგობრობის განმტკიცების საქმისათვის.

მოხსენებაში დიდი ადგილი ჰქონდა დამონებული სომხების, ქართველებისა და [illegible] ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

— რუსეთის მოწინავე კულტურასთან და დემოკრატიულ მიმდინარეობებთან ურთიერთობის წყალობით — აღნიშნა შემდეგ ამხ. ც. პ. აღაიანმა, — წარმატებით ვითარდებოდა ამიერკავკასიის ხალხთა კულტურა და განათლება ახალ დემოკრატიულ საფუძველზე. გამოჩნდა მოწინავე ადამიანთა მთელი პლეადა. ისეთ მოღვაწეთა სახელები, როგორიცაა ხაჩატურ აბოვიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ბაკიხანოვი, მირზა ფატალი ახუნდოვი, მიქაელ ნალბანდიანი და ბევრი სხვა, მარად იცოცხლებს ჩვენს ისტორიაში. ისინი განასახიერებდნენ ჩვენი ხალხების მეგობრობას.

XIX საუკუნის დასასრულს, მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის განვითარებასა და ლენინიზმის აღმოცენებასთან ერთად ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით ვითარდებოდა.

მოხსენება **„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია"** გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ა. მ. აკოპიანმა.** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, აღნიშნა მან, იქმნებოდა და იზრდებოდა როგორც ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის შეურიგებელი მოწინააღმდეგე და თავის რიგებში აერთიანებდა რუსეთის ყველა ეროვნების მოწინავე მშრომელებს. ვ. ი. ლენინის მეთაურობით მან არა მარტო შეიმუშავა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მეცნიერული პროგრამა, არამედ მთელი თავისი საქმიანობით გვიჩვენა სხვადასხვა ერის შეკავშირებისა და მეგობრობის შესანიშნავი ნიმუშები.

საბჭოთა ხალხი თანამიმდევრულად ახორციელებდა ლენინის მითითებებს და მიაღწია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრულ და საბოლოო გამარჯვებას. სკკპ XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებანი ახალი სტიმული გახდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული თანამეგობრობის შემდგომი განვითარებისათვის.

პარტიის ლენინაკანის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **გ. ბ. ღარიბჯანიანმა** თავისი მოხსენება **„ძმურ ოჯახში"** მიუძღვნა ქალაქების ქუთაისის, კიროვაბადისა და ლენინაკანის სოციალისტურ შეჯიბრებას.

მან აღნიშნა, რომ ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობისა და მათი ძმური თანამშრომლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა სხვადასხვა რესპუბლიკის, ქალაქის, საწარმოს, კოლმეურნეობის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება. 14 წლის წინათ ფეიქართა თაოსნობით ჩაისახა მოძმე რესპუბლიკების სამი ქალაქის შეჯიბრება, რომელიც ახლა ფართოდ არის გაშლილი.

— საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, — თქვა თავის მოხსენებაში **„ამიერკავკასიის ხალხთა კულტურული მეგობრობა"** სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ა. ბ. კარინიანმა,** — აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში დიდი მუშაობა დაიწყო მოძმე ხალხების კულტურული თანამშრომლობის გაძლიერებისათვის. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ფართოდ აღინიშნა პუშკინის, გოგოლის, ნეკრასოვის, ნავოის, ნიზამის, რუსთაველის, აბოვიანის, ნალბანდიანის, საიათნოვას იუბილეები. ეს იუბილეები ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის კულტურის დიდი ზეიმი იყო. ა. ბ. კარინიანმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რუსული ენის შესწავლას ეროვნულ რესპუბლიკებში და თქვა, რომ ლენინის დიადი ენა არა მარტო ემსახურება სოციალისტური ერების მჭიდრო ურთიერთობას, არამედ საშუალებას აძლევს მათ გაიცნონ მსოფლიო კულტურის მიღწევები.

**სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის იდეების როლის შესახებ ახალი ადამიანის აღზრდაში** ილაპარაკა თავის მოხსენებაში აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **ი. ქ. ეფენდიევმა.**

მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მშენებელთა მორალურ კოდექსს და ხაზი გაუსვა, რომ მთელი აღმზრდელობითი მუშაობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობასთან, გამსჭვალული უნდა იყოს ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, მთელი მსოფლიოს მშრომელთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ძმური სოლიდარობის იდეებით. სამწუხაროდ, თქვა მან, ხშირად ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს „ზოგადად", ფორმალურად, მაშინ, როცა მთელი ძალები უნდა მივმართოთ შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ, კერძომესაკუთრული ტენდენციების, ყოფაცხოვრებითი გახრწნილების, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების, წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ.

მოხსენება **„საბჭოთა კავშირის სოციალისტური ერების შემდგომი განვითარებისა და დაახლოების ლენინური კურსი"** გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **გ. ვ. ბრეგაძემ.**

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა კიდევ უფრო მჭიდროდ აახლოვებს საბჭოთა კავშირის ხალხებს, — თქვა მან. ყოველი სოციალისტური ერის ეკონომიკის განვითარება აძლიერებს საბჭოთა ეკონომიურ სისტემას. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვ. ი. ლენინის მითითება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური გაერთიანების უზრუნველყოფის საჭიროების შესახებ, უკვე განხორციელდა. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა ამ საფუძველზე შექმნეს თანამეგობრობისა და მონოლითური ერთობის ბრწყინვალე ნიმუში. ამხ. გ. ვ. ბრეგაძემ ბევრი მაგალითი მოიყვანა, რომლებიც მოწმობენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა წარმატებით განვითარებასა და დაახლოებას.

სესია მუშაობას განაგრძობს.

(სომხდესი).



**სურათზე:** სესიის მონაწილენი (მარცხნიდან) — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. კიმი (მოსკოვი), ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. პაიჭაძე (თბილისი), სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ს. ტერ-ოვაკიმოვა (ერევანი) და აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. ჰუსეინოვი (ბაქო).

ფოტო ნემრუტისა და ა. ოვჩინიკოვისა (სომხდესის ფოტოქრონიკა).



# სცენის ღიმილი

## ელისაბედ ჩერქეზიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

100 წელი შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მსახიობის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ელისაბედ ჩერქეზიშვილის დაბადებიდან. ქართული სცენისადმი 60 წლის უანგარო სამსახურის მანძილზე ჩერქეზიშვილმა თეატრსა და კინოში შეასრულა 400-ზე მეტი როლი ქართველი, რუსი და უცხოელი ავტორების პიესებში. და ყველა ეს როლი განუმეორებელი იყო თავისი ორიგინალობით, გმირის შინაგანი სამყაროს გადმოცემის უნარით, მსახიობისათვის დამახასიათებელი იუმორითა და მგზნებარებით.

ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა, სადაც ჩერქეზიშვილმა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მუშაობდა, გამართეს საიუბილეო საღამო.

ე. ჩერქეზიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ციციშვილმა. ე. ჩერქეზიშვილის შესახებ შეკრებილთ მოგონებანი გაუზიარეს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ზ. ჭომელაურმა და პ. ფრანგიშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა დ. ჩხეიძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ.

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ბ. კობახიძემ წაიკითხა თავისი მამის პიერ კობახიძის ლექსი, რომელიც მან ე. ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 60 წლისთავისათვის დაწერა. ეს თარიღი 1947 წელს აღინიშნა. ე. ჩერქეზიშვილისადმი მიძღვნილი ი. გრიშაშვილის ლექსი წაიკითხა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ტ. საყვარელიძემ.

კონცერტში, რომელსაც ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ტრიპოლსკი, მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა მ. თარხნიშვილმა, ა. კვანტალიანმა, ა. გომელაურმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ე. ყიფშიძემ, ლ. ანთაძემ, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტებმა ც. ციცქიშვილმა და ნ. კირვალიძემ, კომპოზიტორმა ს. მირიანაშვილმა, მსახიობებმა გ. გოგუამ, ტ. სხირტლაძემ და სხვებმა.

დასასრულ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებმა უჩვენეს ცაგარლის კომედიის „რაც გინახავს ველარ ნახავ“ პირველი აქტი. ამ კომედიაში ე. ჩერქეზიშვილი ასრულებდა თავის ერთ-ერთ საყვარელ როლს, კატინას როლს. შეკრებილებმა მოისმინეს პიესა „ხანუმას“ ჩანაწერი ელისაბედ ჩერქეზიშვილის მონაწილეობით.

თეატრის ფოიეში გამართული იყო იუბილარისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა.

(საქდესი).

## გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადო იმ ორგანიზაციებს, ძვირფას მსმენელებსა და მეგობრებს, რომლებმაც მომილოცეს და გაიზიარეს ჩემი დიდი სიხარული ჩემთვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მონიჭების გამო.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

ა. ხაჩატურიანი.

## ლიტერატურა და ხელოვნება

## ჩვენი ინტერვიუ

# არამ ხაჩატურიანი: მადლობა, მეგობრებო!

გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, პროფესორ არამ ხაჩატურიანის საიუბილეო საავტორო კონცერტებმა თბილისელი მსმენელების, ქართველი მუსიკალური საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი დედაქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში.

გუშინ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომელშიც ნათქვამია: „დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა მუსიკის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის კომპოზიტორ არამ ილიას-ძე ხაჩატურიანს მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება“.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა კომპოზიტორს მიულოცა ამ საპატიო წოდების მინიჭება და სთხოვა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის მოეთხრო თავის თბილისურ შთაბეჭდილებებზე. არამ ხაჩატურიანმა თქვა:

— საქართველოს სახალხო არტისტი! ჭეშმარიტად რომ საპატიო და ღირსეული წოდებაა! დიახ, ყოველი ხელოვნისათვის და, ცხადია, მათ შორის ჩემთვისაც, ეს არის დიდი პატივი, სიამაყე და სიხარული. ნამდვილად დიდად გახარებული და ნასიამოვნები ვარ. დიდი, გულითადი მადლობა, ძვირფასო ქართველო მეგობრებო, ჩემი შემოქმედებისა და ხელოვნების ასეთი მაღალი შეფასებისათვის!

ძალიან მახარებს ჩემი ქართველი კოლეგების შემოქმედებითი წარმატებანი. თანამედროვე ქართველი კომპოზიტორები, მკვიდრად რომ დგანან ეროვნულ მუსიკალურ ტრადიციებზე, საინტერესო მუსიკალურ ნაწარმოებებს ქმნიან ყველა ჟანრში, სიმფონია იქნება, ორატორია, სიმღერა, საორკესტრო [illegible] ტო მუსიკა თუ სხვა.

დიდად [illegible] ვარ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრით. ეს [illegible], სოლიდური კოლექტივია, ჰყავს მშვენიერი სოლისტები. ზოგიერთ მათგანს შეეძლია ვირტუოზი გუწოდო.

გულითადი, ხასიამოვნო შეხვედრა მქონდა თბილისელ პიონერებთან, რომლებმაც თავიანთ დიდებულ სასახლეში მიმიწვიეს. ნათელი გონების, ხალი, ჯანმრთელი ფიქრებისა და ოცნების ბავშვები არიან. კარგი თაობა გვეზრდება. ჭეშმარიტად, ხასიხარულოა!

საყვარელ თბილისს, მშვენიერ საქართველოს რომ ვტოვებ, კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა: გულითადი მადლობა, ძვირფასო ქართველო მეგობრებო, მომავალ სასიხარულო შეხვედრამდე!

# სენტიმენტალური განგსტერი პატრიოტი

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკდესი). დალასიდან (ტეხასის შტატი), სა- [illegible]

1944 წლიდან იცნობს რუბის, იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის კორესპონ- [illegible]

[illegible]

საკდესის კომენტატორი ნ. ტურკატენკო წერს:

მაშინ, როცა რუბი და დალასის ხელისუფლები ასეთ განცხადებებს აკეთებენ, ოსვალდის ცხედარი უკვე ასვენია როუზ ხილის სასაფლაოზე, ოსვალდის მშობლიურ ქალაქში, დალასის მახლობლად.

დალასის პოლიციურმა ხელისუფლებმა ნაჩქარევად „დახურეს“ ოსვალდის საქმე. ფრანს პრესის კორესპონდენტი ფრანსუა პელუ, რომელიც ამას იუწყება,

[illegible]

მოძიების“ იმ მეთოდების გამო, რომელსაც დალასში იყენებენ.

სამაგიეროდ დეპეშათა სააგენტოები ახლა ფარისევლურად ავრცელებენ ჭორებს იმის შესახებ, რომ ოსვალდი მოკლა „ნამდვილმა ამერიკელმა პატრიოტმა“ რუბიმ, რომელმაც შური იძია „მკვლელ-მარქსისტზე“ „სამართლიანი რისხვით მოთმინებიდან გამოსულმა“.

მაგრამ იმის ცდა, რომ კვლავ გამოათრიონ მზის სინათლეზე ზღაპარი კომუნისტური შეთქმულების შესახებ და აქვე მიატმასნონ „ჭეშმარიტი ამერიკელი პატრიოტის მრისხანება“, რომელიც „შემთხვევით“ აღმოჩნდა ოსვალდის მახლობლად, შეკერილია არა თუ თეთრი, არამედ დამპალი ძაფებითაც.

მივმართოთ ფაქტებს. 24 ნოემბერს, დილაადრიან, ესე იგი იმ დღეს, როცა რუბიმ აუჩქარებელი პოლიციელისა და დეტექტივის თვალწინ მუცელში ესროლა ტყვია ოსვალდს, გამოძიების ფედერალური ბიუროს დალასის განყოფილებაში ტელეფონით დარეკეს და გააფრთხილეს: დღეს ოსვალდს მოკლავენ. ვინაიდან ოსვალდის საქმის გამო გამოძიებას აწარმოებდა დალასის პოლიცია და იცავდა მას, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ არავითარი ზომები არ მიიღო, არამედ მხოლოდ აცნობა დალასის პოლიციას ის, რაც ტელეფონით შეატყობინეს. პოლიციის განყოფილებაში თქვეს: ოკეი“... რამდენიმე საათის შემდეგ რუბის მიერ გასროლილმა ტყვიამ სამუდამოდ დაადუმა ოსვალდი.

იმას, რომ რუბი შემთხვევით აღმოჩნდა ოსვალდის მახლობლად, თვით პოლიციელები უარყოფენ. რეიტერის სააგენტოს დალასელ კორესპონდენტს ჰარისს მოჰყავს რამდენიმე პოლიციელის განცხადება იმის შესახებ, რომ მათ იცოდნენ

[illegible]



ეს ნახატი დაბეჭდა გაზეთმა „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსმა“ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის მოკვლასთან დაკავშირებით. ნახატს გაზეთში მთელი გვერდი უჭირავს. მხატვარს ნახატზე გამოუსახავს პრეზიდენტ ლინკოლნის ძეგლი. ლინკოლნს სირცხვილისაგან სახეზე ხელები აუფარებია.

მიღებულია ფოტოტელეგრაფით.

## რობერტ როუზის წერილი

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკდესი). 20 ნოემბერს, პრეზიდენტის მოკვლამდე ორი დღით ადრე, 20 წლის სტუდენტი რობერტ როუზი თავის დედას სწერდა, მეშინია, რომ პრეზიდენტს მოკლავენ, როცა ის დალასში ჩამოვა. ამ სტუდენტის წერილი 23 ნოემბერს გამოქვეყნდა გაზეთ „რეჯისტერში“, რომელიც გამოდის ნიუ-ჰეივენში (კონექტიკუტის შტატი).

„მომავალ კვირას ჩამოდის კენედი. ხანაძლეოდ ვდებ ათს ერთის წინააღმდეგ, რომ რომელიმე ეს დალასელი მანიაკი მოკლავს მას“.

როუზმა მოაგონა თავხედური დემონსტრაცია, რომელიც „ულტრებმა“ წინა თვეს დალასში მოაწყვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ედლაი სტივენსონის წინააღმდეგ.

# ამ სიტყვის წარმოთქმა კენედის აღარ აცალეს

გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა“ გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის მიერ დალასიდან გადმოცემული ცნობა, რომელშიც მას მოჰყავს პრეზიდენტ კენედის სიტყვის შინაარსი. ჯ. კენედი აპირებდა ტეხასში წარმოეთქვა ეს სიტყვა. კორესპონდენტი იტყობინება:

სიტყვაში, რომლის წარმოთქმაც პრეზიდენტმა კენედიმ სიცოცხლეში ვერ მოასწრო, იგი აპირებდა მკვეთრად გაეკრიტიკებინა რესპუბლიკელი სენატორი არიზონის შტატიდან ბარი გოლდუოტერი და დანარჩენი რესპუბლიკელები.

მისი სიტყვის ტექსტში, რომელიც მომზადებული და გავრცელებული იყო ბატონ კენედის მუხანათურად მოკვლამდე, სენატორი გოლდუოტერი დასახელებული არ არის, მაგრამ სრულიად უეჭველია, რომ პრეზიდენტის შემდეგი შენიშვნა ეხებოდა სენატორს არიზონის შტატიდან.

„სამყაროში, სადაც რთული და გადაუწყვეტელ განვითარებაში მყოფი პრობლემებია, დაძაბულობითა და წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროში, ამერიკის ხელმძღვანელობა ცოდნისა და კეთილგონიერების სინათლით უნდა შუქდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი, ვინც ერთმანეთში ურევს რიტორიკასა და რეალობას, სასურველსა და შესაძლებელს, მიიღებენ ძალაუფლებას, რომლითაც თითქოს სწრაფად და იოლად შეიძლება თვითეული მსოფლიო პრობლემის გადაჭრა“.

კენედის აგრეთვე უნდოდა ეთქვა, რომ მეცრება, თუ მას საშუალება მიეცემა ბატონობს საგარეო პოლიტიკაში, საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის უშიშროებას“.

სიტყვა მიმართული იყო მემარჯვენეების, მათ შორის „ჯონ ბერჩის საზოგადოების“ წინააღმდეგ, თუმცა არ ასახელებდა მათ.

„ქვეყანაში ყოველთვის იქნებიან სხვანაირად მოაზროვნენი, რომლებიც თავიანთ უთანხმოებას გამოთქვამენ, მაგრამ ალტერნატივას არ აყენებენ, შეცდომებზე მიგვითითებენ, მაგრამ ვერაფერ დადებითს ვერ ამჩნევენ, პოლიტიკაში ნაკლოვანებებს პოულობენ და გავლენის მოპოვებას ცდილობენ, მაგრამ არა სურთ პასუხისმგებლობა იკისრონ. ასეთი ხმები მუდამ იქნება“, — ამის თქმას აპირებდა კენედი თავის სიტყვაში.

# „უსაზიზღრესი მკვლელობა!“

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკდესი). ბევრ ამერიკელს აფიქრებს ამ დღეებში ის შინაპოლიტიკური ვითარება, რომელშიც შესაძლებელი გახდა პრეზიდენტ კენედის საზიზღარი მკვლელობა დალასში. ამ თემაზე აზრს გამოთქვამენ თვალსაჩინო მიმომხილველებიც. რა თქმა უნდა, ყველა ისინი როდი არიან მზად ყველაფერი თქვან, რაც სათქმელი აქვთ, ალიარონ კრიზისი სისტემისა, რომელშიც ასეთი ფართო გაქანება ეძლევა რეაქციას.

სტატიაში სათაურით „უსაზიზღრესი მკვლელობა“, „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ მიმომხილველს უოლტერ ლიპმანს არსებითად მიაჩნია, რომ პრეზიდენტის მკვლელობა „ამერიკის დემოკრატიის“ კრიზისის გამოვლინებაა. „ამერიკული სულისკვეთება, — წერს იგი, — მწვავე კრიზისს განიცდის“.

„ის, რაც დალასში მოხდა, წერს ლიპმანი, შეიძლებოდა უეჭველად, მომხდარიყო სხვა ქალაქში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტის მკვლელობა პოლიტიკური ძალმომრეობის პირველი აქტი კი არ იყო ამ ქალაქში, არამედ ერთ-ერთი აქტი მთელი სერიიდან. კაცს, რომელიც ახლა შეერთებული შტატების პრეზიდენტია, სცემეს თავისი მხარის ადამიანებმა — ტეხასელებმა. კაცი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ფურთხით გასვარეს იქ“.

„გონიერებისა“ და „სამართლიანობის“ აღდგენისათვის ლიპმანი მოითხოვს, რომ „ალაგმონ ექსტრემისტები“. იგი ექსტრემისტებად გულისხმობს „მემარცხენეებსაც“ (ე. ი. კომუნისტებს) და „მემარჯვენეებსაც“ (ე. ი. რასისტებსა და ფაშისტ რეაქციონერებს). მაგრამ კომუნისტებზე შეიძლება ლაპარაკი დალასში? ქალაქი დალასი უკვე დიდი ხანია ულტრამემარჯვენე რეაქციული ძალების დასაყრდენია, რომლებიც თავს ესხმოდნენ განსვენებულ პრეზიდენტს, თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდნენ მის ყოველ ღონისძიებას საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად, ამერიკის შეერთებული შტატების ზანგი მოსახლეობისათვის სამოქალაქო უფლებათა მისანიჭებლად.

ამას აღიარებს თვით ლიპმანიც. სხვათა შორის, მას საჭიროდ მიაჩნია თავისი მიზნის ანტიკომუნისტურ ისტერიასაც, რომელსაც ახლა აღვივებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგიერთი რეაქციული გაზეთი.

## ოსვალდის მკვლელს — ოფიციალური ბრალდება

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკდესი). ქალაქ დალასის საოლქო პროკურორის ჰენრი უეიდის კანცელარიამ პრესის წარმომადგენლებს გამოუცხადა, რომ დიდმა ჟიურიმ ოფიციალურად წაუყენა ჯეკ რუბის ლი ჰარვი ოსვალდის მკვლელობის ბრალდება.

რუბის გასამართლება დანიშნულია 9 დეკემბერს.

# ჯონ კენედის ხსოვნისადმი

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ მსოფლიოს 111 ქვეყნის დელეგატებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ ფიტცჯერალდ კენედის ხსოვნას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სამგლოვიარო პლენარული სხდომა გახსნა XVIII სესიის თავმჯდომარემ კარლოს სოსა როდრიგესმა, რომელმაც თქვა, რომ პრეზიდენტი კენედი გახდა სიძულვილისა და ფანატიზმის მსხვერპლი ისტორიის კრიზისულ მომენტში, როცა ხალხთა მშვიდობისა და უკეთესი ურთიერთგაგების პოლიტიკამ დაიწყო თავისი ნაყოფის გამოღება.

კენედის, რომელიც გახდა დანაშაულებრივი აქტის მსხვერპლი, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა, შეხამებული ჰქონდა მაღალი ინტელექტი და სიმამაცე, ესწრაფვოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. კენედის სიკვდილი დიდი დანაკლისია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის.

დიდი მწუხარებით შევიტყვეთ ტრაგიკული ამბავი, რომ ავაზაკურად მოკლეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ ფ. კენედი, თქვა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ნ. ტ. ფედორენკომ. დამნაშავის ხელმა შეაჩერა გულისხმიერა ამერიკის შეერთებული შტატების გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა, რომელსაც შეეძლო მისთვის ჩვეული რეალიზმის გრძნობით შეეფასებინა ვითარება, დიდი პოლიტიკური ტაქტითა და გამჭრიახობით ცდილობდა გამოეძებნა საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის გზები.

პრეზიდენტ ჯონ ფ. კენედის ოჯახმა დაკარგა საყვარელი მამა, ქმარი, ძმა და შვილი, ამერიკელმა ხალხმა დაკარგა ერთ-ერთი უნიჭიერესი ხელმძღვანელი, მსოფლიომ დაკარგა საღად მოაზროვნე და გონიერი პოლიტიკური მოღვაწე, განაცხადა საბჭოთა წარმომადგენელმა.

ნ. ტ. ფედორენკომ აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხის გრძნობა გამოხატულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის დეპეშაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ლინდონ ბ. ჯონსონის სახელზე, და წაიკითხა დეპეშის ტექსტი.

ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ედლაი სტივენსონმა თავისი ქვეყნის სახელით გამოთქვა დიდი მადლობა სიმპათიისა და თანაგრძნობისათვის, რაც სხვადასხვა ქვეყნის დელეგატებმა გამოხატეს.

სტივენსონმა განაცხადა, კერძოდ, პრეზიდენტმა ჯონსონმა დამავალა დავადასტურო ასამბლეის წინაშე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მხარს დაუჭერს ყოველ პრაქტიკულ ნაბიჯს იმ მიზნით, რომ გაზარდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაძლებლობანი დაიცვას მშვიდობა.

## მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია

ვარშავა, 26 ნოემბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიაში მონაწილეობისათვის დღეს აქ ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის აკადემიკოს ა. ე. კორნეიჩუკის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან: ნ. ს. ტიხონოვი, ი. გ. ერენბურგი, ნ. ვ. პოპოვა, ვ. ლ. ვასილევსკაია, მიტროპოლიტი პიმენი და სხვები.

# ვინ მოკლა ჯ. კენედი?

რომი, 27 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იუწყება:

მართლაც ოსვალდმა მოკლა პრეზიდენტი კენედი? თუ მკვლელად მაინც და მაინც ის უნდა მივიჩნიოთ, მაშინ შეეძლო თუ არა მას მარტოდმარტო, თანამონაწილეთა დაუხმარებლად მოქმედება? კითხულობს მილანის საღამოს გაზეთი „კორიერე ლომბარდო“ და აღნიშნავს, რომ ცნობები, რომლებიც დალასის პოლიციამ პრესას გადასცა, შეიცავს საეჭვო წინააღმდეგობრიობას. გაზეთი ოცდაათ პუნქტად აყალიბებს არგუმენტებს, რომლებიც პოლიციის მტკიცებით, „უცილობლად“ მოწმობს ოსვალდის დამნაშავეობას და თითოეული ამ არგუმენტის წინააღმდეგ აქვს კონტრარგუმენტი, რომელიც ამხილებს პოლიციის მოსაზრებათა თუ სრულ უნიადაგობას არა, ყოველ შემთხვევაში, სისუსტეს მაინც.

მაგრამ ვთქვათ, რომ პრეზიდენტის მკვლელი მაინც ოსვალდია, განაგრძობს „კარიერე ლომბარდო“. მაშინ ისმება კითხვა, როგორ შეძლო ოსვალდმა სამჯერ სროლა, მაშინ როცა თითოეული სროლისათვის სულ ცოტა ათი წამი მაინც სჭირდებოდა?

თითოეული გასროლის შემდეგ დაცლილი ვაზნის ამოსაგდებად საჭიროა საკეტის უკან დაწევა, შემდეგ მისი კვლავ წინ წაწევა, შაშხანის ხელახლა შემართვა და დამიზნება. ამასთან საჭიროა ოპტიკური სამიზნით იმის მოსწრებაც, რომ ნიშანში ამოღებული ობიექტი „დაიჭირო“ მაშინ, როცა იგი მოექცევა სამიზნოს ლინზის ჯვრის ცენტრში. ნუ დავავიწყდება აგრეთვე, რომ მანქანა, რომელშიც კენედი იყო, არ იდგა ერთ ადგილას. და მაინც, როგორც ამბობენ, ოსვალდმა მოახერხა ორჯერ მოეხვედრებინა ტყვია პრეზიდენტისათვის, ამასთან არც გუბერნატორს დააცილა. ასეთი შედეგი შურით აავსებდა საუკეთესო მონადირესაც კი. ამავე დროს, მკვლელობაში ეჭვმიტანილს, როგორც უკვე ვთქვით, სრულებითაც არ ჰქონდა ავტომატური იარაღი.

როგორ უნდა მოესწრო ოსვალდს ყოველივე იმის ჩადენა, რაშიც ახლა დასდეს ბრალი? თანაც, როგორ მოხდა, რომ ამერიკელმა ექსპერტებმა, ტექნიკურმა სპეციალისტებმა, პოლიციამ ვერ შეძლეს მაშინვე გარკვეულიყვნენ, რომ მათ წინაშეა იტალიური ნიმუშის შაშხანა, მით უმეტეს, რომ საკმარისი იყო ჩაეხედათ სმიტის ცნობარში, რომელიც პენსილვანიაშია გამოცემული სპეციალურად ამერიკის შეიარაღებული ძალებისათვის?

## სენატორები წინააღმდეგი არიან

პარიზი, 27 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. მანიენანი გვატყობინებს: საფრანგეთის სენატმა 169 ხმით 64-ის წინააღმდეგ მიიღო შესწორებები, რომლებიც კომუნისტების, სოციალისტებისა და სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის კათოლიკური პარტიის ჯგუფებმა შეიტანეს და რომლებიც მოითხოვენ, რომ ბიუჯეტიდან ამოიღონ ატომური „დამკვრელი ძალისათვის“ გამოყოფილი ასიგნობანი.

სენატორმა ხენის დეპარტამენტიდან გენერალმა პეტიმ, რომელიც კამათში გამოვიდა კომუნისტთა ჯგუფის სახელით, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ატომური „დამკვრელი ძალების“ შექმნა ეწინააღმდეგება ფრანგი ხალხის მისწრაფებას მშვიდობისადმი. და ეს „დამკვრელი ძალა“, თქვა მან, უზარმაზარ სახსრებს შთანთქავს და საფრთხეს შეუქმნის საფრანგეთის უშიშროებას.

სამ შესწორებას, რომლებსაც იდენტური შინაარსი ჰქონდათ, კენჭი უყარეს და მოიწონა სენატის უმრავლესობამ.

თქვენს კორესპონდენტთან საუბარში გენერალმა პეტიმ განაცხადა, რომ კენჭისყრის შედეგი „მოასწავებს, რომ უარყოფილ იქნა მთავრობის პოლიტიკა სამხედრო დარგში და, კერძოდ, „დამკვრელი ძალის“ მიმართ“. აქ გამოვლინდა ხალხის უმრავლესობის სურვილი, რომელიც უარყოფს საშიშ პოლიტიკას.

სენატში გუშინდელი კენჭისყრის შემდეგ ბიუჯეტი ხელმეორედ გადაეცემა განსახილველად ეროვნულ კრებას, სადაც მთავრობა შეძლებს მის გაყვანას აბსოლუტური უმრავლესობის წყალობით, რომელიც მმართველ პარტიას ჰყავს.

## გაიმარჯვა კეთილგონიერებამ

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). შეერთებული შტატების სენატის განსახილველად რესპუბლიკელმა სენატორმა მუნდტმა შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ზღუდავს სოციალისტური ქვეყნებისათვის ხორბლის დასახულ მიყიდვას. კენჭისყრისას კანონპროექტი უარყო 57 სენატორმა. კანონპროექტს ხმა მისცა 37 სენატორმა.

კენჭისყრის შემდეგ დემოკრატთა ლიდერმა სენატში სენატორმა მენსფილდმა, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტო, წაიკითხა განსვენებული პრეზიდენტის კენედის 18 ნოემბრის წერილი, რომელიც „მეტად ძლიერი გამოთქმებით“ მოითხოვდა კანონპროექტის უარყოფას.

## მდგომარეობა ერაყში

ბეირუთი, 27 ნოემბერი. (საკდესი). ბაღდადის რადიო იუწყება, რომ გაიხსნა ერაყის საზღვრები მეზობელ არაბულ ქვეყნებთან სირიას, იორდანიასა და კუვეიტთან. ერაყის საზღვრები დახურული იყო ერაყის უკანასკნელი ამბების გამო.

კაირო, 27 ნოემბერი. (საკდესი). ყველა გაზეთი იუწყება, რომ ერაყიდან გაიყვანეს სირიის ჯარების ქვეგანაყოფები, რომლებიც სირიიდან იყვნენ იქ გაგზავნილი ქურთების წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში მონაწილეობისათვის.

## მთავრობის კოალიცია საფრთხეშია

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). თურქეთის გლეხთა რესპუბლიკურმა ეროვნულმა პარტიამ გადაწყვიტა გავიდეს ისმეთ ინენიუს ეროვნული მთავრობიდან, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან.

ისმეთ ინენიუს კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში შედიან სამი პარტიის — სახალხო-რესპუბლიკური პარტიის, „ახალი თურქეთის პარტიის“, რესპუბლიკური გლეხთა ეროვნული პარტიისა და დამოუკიდებელთა წარმომადგენლები. გლეხთა რესპუბლიკური ეროვნული პარტიის ეს გადაწყვეტილება ფაქტიურად კოალიციის დაშლას მოასწავებს.

## ბინის ქირა მატულობს

ბონი, 26 ნოემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში სწრაფად მატულობს ბინის ქირა. მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა კანონი, რომლის თანახმად 565 რაიონიდან 397 რაიონში გაუქმდა ბინის ქირის ზრდის შემაკავებელი შეზღუდვები, სახლის მფლობელებმა დაიწყეს ბინის ქირის უზომო გადიდება. მეღითონეთა პროფკავშირის ორგანო გაზეთი „მეტალი“ იუწყება, რომ მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე, ესე იგი კანონის მოქმედების მხოლოდ ნახევარ თვეში, სახლის მფლობელებმა გააუქმეს ათეულ ათასობით ხელშეკრულება, მოითხოვენ ბინის ქირის მომატებას. ბინის სპეკულაციამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ მთელ რიგ ადგილებში სახლის მფლობელები ერთიორად ადიდებენ ბინის ქირას.

# კაცი, რომელმაც „გააქრო“ ოსვალდი

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკდესი). სააგენტოები და გაზეთები ბეჭდავენ ახალ დაწვრილებით ცნობებს ჯეკ რუბინშტეინის, მეტსახელად რუბის პიროვნების შესახებ, რომელმაც „გააქრო“ ლი ოსვალდი. ოსვალდს კი (მიუხედავად იმისა, მოკლა თუ არა მან პრეზიდენტი კენედი) შეეძლო ყველა სხვა ვინმეზე მეტი ეთქვა იმაზე, თუ რა სარჩული უდევს საზარელ დანაშაულს.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ თავის კორესპონდენციაში აშუქებს რუბის განგსტერული საქმიანობის „ჩიკაგოს პერიოდს“. კორესპონდენცია მკაფიოდ გვიხატავს ამერიკის ზნე-ჩვეულებებს.

„რუბი, რომლის ნამდვილი სახელია ლეონ რუბინშტეინი, დაიბადა ჩიკაგოში 52 წლის წინათ, — გვაუწყებს „ნიუ-იორკ ტაიმსი“. — როგორც ადგილობრივი პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გვაცნობა, მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა პოლ ლაბრიოლასთან, რომელიც 1954 წელს მოკლეს, და პოლ რ. ჯონსთან, რომელიც ახლა სასჯელს იხდის ფედერალურ სხპატიმროში ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდების გამო. რუბი დალასში გადავიდა დაახლოებით 15 წლის წინათ.

დალასში გვიამბეს, რომ ჯონსი და ლაბრიოლა იქ ჩავიდნენ 1946 წელს და ხშირად იყვნენ რუბის კაბარეში, ამასთან ცდილობდნენ შერიფის მოსყიდვას.

გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა ჩიკაგოში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს იმას, რომ რუბის 1957 წელს კავშირი ჰქონდა ნაგვის ამწმენდთა პროფკავშირთან. ეს პროფკავშირი გარიცხეს ამერიკის შრომის ფედერაცია-საწარმოო პროფკავშირთა კონგრესიდან კორუფციის ბრალდებით.

რუბიმ და ადვოკატმა ლეონ რ. კუკმა 1937 წელს შექმნეს ეს პროფკავშირი, ორი წლის შემდეგ კუკი მოკლეს.

რუბიმ, რომელიც ცნობილი იყო მეტსახელით „სპარკი“, 1940 წელს მიატოვა პროფკავშირული მუშაობა — რომელიღაც პერიოდში მას ეკავა მდივნის თანამდებობა. ეს მოხდა მალე მას შემდეგ, რაც პროფკავშირი პოლ დორფმენის ხელში აღმოჩნდა, რომელიც სატვირთო მანქანების შოფერებისა და საწყობების მუშათა პროფკავშირის ხელმძღვანელის ჯეიმს ჰოფას ახლო მეგობარი იყო...

1959 წელს სენატის კომისიამ, რომელმაც გამოიძია ბოროტმოქმედებანი პროფკავშირებში, ეს პროფკავშირი გამოაცხადა რგოლად, რომელიც ჰოფას აკავშირებდა დამნაშავეთა სამყაროსთან. მას ბრალად დადეს მექრთამეობა, ცემა და მკვლელობა იმ წლებში, როცა რუბი იქიდან წასული იყო.

ჩიკაგოში ამბობენ, რომ რუბი იცნობდა იმათ, ვინც ხშირად დადიოდა ტოტალიზატორებსა და სამორინეებში, და სხვა „პოლიციურ ტიპებს“, როცა იგი სასპორტო შეჯიბრებებზე შესასვლელი ბილეთების სპეკულაციას ეწეოდა. რუბი დებდა პატარა ფსონებს მოკრივეთა მატჩებსა და ბეისბოლისტთა ასპარეზობაზე.

ამტკიცებენ, რომ იგი იცნობდა ნატან გამბინს, მდიდარ საქმოსანს, რომელიც 1948 წელს მოკლეს განგსტერებმა. მათ შორის საქმიანი ურთიერთობა იყო, როცა რუბი პროფკავშირებში მუშაობდა და ხშირად დადიოდა სამორინეში, სადაც გამბინიც ხშირი სტუმარი იყო...

იურისტი ლუის კატნერი მოგვითხრობს, რომ, როცა სენატის კომისია აწარმოებდა გამოძიებას 1949 წელს, რუბიმ ალბათ მოისურვა შუამავლობა ეკისრნა დამნაშავეთა სინდიკატსა და კომისიას შორის.

საერთაშორისო ცხოვრება

ამ დროს სტრატონოვმა მეორედ დაუკაკუნა კარს, სამწუხაროდ, საუზმის დრო დაუბრუნებლად გავიდა, სამაგიეროდ კახეთში გლეხურად ადრე იციან სადილი. ნახევარი საათის შემდეგ სამივენი სასადილოში შევიდნენ, შესამჩნევი იყო წუხანდელი ღამის დაღლილობა, საუბარი არ ეწყობოდა, მიუხედავად იმისა, რომ ღვინო უხვად იყო და სადილად მობრძანდა საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, რესპუბლიკური კატეგორიის აღიარებული თამადა. ერთგვარი გამოცოცხლება დაიწყო მხოლოდ ბოლოს, როცა ინგლისელმა თავი ველარ შეიკავა და აღტაცება გამოთქვა წინადღის მენიუს გამო. საჭმელების ფაქიზი და უცნობი ოსტატი ცხოვრობდა და ქმნიდა რჩეულთათვის ალაზნის ველზე. მცოდნის აღიარებით ნაამებმა დირექტორმა სტუმრებს აცნობა, მზარეულს კოტე ჰქვიაო, და ის იყო მოკლედ უნდა მოეხაზა მისი ბიოგრაფია, რომ ამ დროს საქმეზე გაიხმეს: მთელ კახეთში მოსავლის აღების გაცხარებული აღლობა იწყებოდა. თხუთმეტ წუთში, რაც იგი კანტორაში იყო, სტრატონოვმა მოასწრო სტუმრებისათვის საიდუმლოდ ეცნობებინა, რომ ამ კულინარულ ედემში თბილისიდან ჩამოდიან უფროსები, რათა ორგანიზმი გაიკაჟონ კაცობრიობის საკეთილდღეოდ გენერალური შეტაკებისათვის; — ამასთან თითქოს სილა აუხრაშუნდა კბილებში. ამის შემდეგ მალე ინგლისელთან ისეთი სამწუხარო აყალმაყალი მოუხდა, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს სხვანაირად, თუ არა როგორც სურვილი რადაც უნდა დაჯდომოდა არარაობიდან ამაღლებულიყო ქალის თვალში.

განცვიფრებული ახამხამებდა თვალებს ინგლისელი.

—ამასთან თვალში გეცემა, — დაასკვნა სტრატონოვმა, რომელიც წამოდგა და ჩქარობდა დაემთავრებინა თავისი ამბოხება პატრონის დაბრუნებამდე, — რომ არც ერთს ამ ჩქარ მეგობართაგან ჯერჯერობით არ უთხოვია სამუდამოდ დასახლებულიყო ჩვენში. მე დავამთავრე და... გმადლობთ ყურადღებისათვის. მაშ, განვაგრძოთ ჩვენი მუშაობა?

ალაზნის ველის თანამიმდევრული დათვალიერების გეგმა ჯერ კიდევ თბილისში იყო შედგენილი. დღის მეორე ნახევარი მთლიანად ეძღვნებოდა კახური ღვინის გაცნობას — მის ისტორიას, წარმოებასა და საბჭოთა მეურნეობის მარანს. ამ ყველაზე პასუხსაგები ნაწილის უკეთ მომზადებისათვის მოწყობილ იქნა პატარა გასეირნება წინანდლის სასახლის მიდამოებში. დირექტორმა პირადად გააცილა სტუმრები პარკში, რომელშიც ხარობდნენ მხოლოდ მძლავრი ჭადრები, ლიბანის კედრები და ცაცხვები. სტრატონოვმა გაკვრით, სასინჯად ჰკითხა ინგლისელს ეს ასწლოვანი ხეები ხომ მოგაგონებენ გატრუნულ დემონებს, რომლებიც მზად არიან ფეხიანთი ძარღვიანი მკლავებით გაანიავონ როგორიც გნებავთ ქარტეხილი.

— კარგად გისწავლიათ დილის გაკვეთილი, მისტერ პიკერინგ. — ხმამაღლა შეაქო სტრატონოვმა, იმიტომ რომ დილით ინგლისელის მაგიდაზე დაინახა ოქსფორდის ცნობარი. — ტაძარი ააგო ბერმა იოსებმა იმ ცამეტ სირიელ ბერთაგან, სვიმეონ მესვეტემ რომ აქ გამოგზავნა ანტიოქიიდან.

ახლა ან ზეიმს მომავალში. სტრატონოვმა სტუმრებს აცნობა, რომ სოფელ ალავერდში ალაზანს გაღმა, აგერ უკვე მესამე დღეა საეკლესიო დღესასწაულია, რომლის დროსაც ყველა წელიწადს იმართება ბაზრობა. ბაზრობაზე ჩამოდიან თითქმის ყველა კავკასიური ტომის წარმომადგენლები, შორეული ლეკებიც კი. იქამდე ოციოდე კილომეტრია სახანხალო ზოგან საშინელი მტვრიანი გზით, მაგრამ გზაში ნახულ გაჭირვებას ჭარბად გამოისყიდის ეგზოტიკურ შთაბეჭდილებათა სიუხვეო.

— მე ვიცნობ იმ ადგილს... ალავერდი, ალავერდი — ხმის სათანადო ამაღლებით გაიხსენა ინგლისელმა. — ეს არის სტრატეგიული პუნქტი ბევრი აზიელი ურდოსი, რომლებიც ოდესმე შემოჭრილან სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში და მახსოვს იქ არის ძველი ტაძარი, რომელიც ვიღაც კეთილმორწმუნე მწირს აუგია.

ნგულზე თითქოს იარაღის თანასწორობის დასაცავად და უეცრად კვლავ რუსულზე გადავარდა.

— მე ვმსახურობ... — გაჯავრდა სტრატონოვი, — და ჩემი სამსახური ანაზღაურებულია თქვენ მიერ უცხოური ვალუტით, რასაც ჩვენში ძლიერ აფასებენ: ჩვენ ღარიბი ვართ ჯერჯერობით... როგორც ცნობილია, მოკავშირეებს ჩვენთვის არ გაუზიარებიათ გამარჯვების ნაყოფი, რაც ძირითადად მოპოვებულია რუსების ზღვა სისხლით... ჩემი ნაკადულიც იქ არის. მოგეხსენებათ, ახალი რუსეთის ასაშენებლად ბევრი ფული გვესაჭიროება... მათ შორის ჩემი ფეხსაცმლის გამოსაცვლელადაც, რომელიც მზად არის საბოლოოდ დაიშალოს თქვენი მზერისაგან, მისტერ პიკერინგ! — და უკვე ძალა აღარ ჰყოფნიდა, რომ დროზე შეჩერებულიყო, — და საერთოდ, როცა რუსეთის მოკავშირეებმა იგი უბედურებაში მიატოვეს, მე იძულებული ვიყავი დროებით წავსულიყავი საზღვარგარეთ... სანამ არ გადავწყვიტე დავბრუნებულიყავი შინ, რათა შეძლებისდაგვარი სარგებლობა მომეტანა სამშობლოსათვის... თუნდა ჭაობების ამოშრობაში! ამისათვის მე მომიხდა ჩამეკლა სული, მეღალატნა ჩემი ოცნებისათვის, ჩამედინა საზიზღარი საქციელიც კი, რისი მოგონებაც დღემდე მდაგავს.

საბაბით, თითქოს უძილო ღამე და ისიც გარეთ, აფრთხობდა მას, არაბეთის უდაბნოებში დაუცხრომელ მოსიარულეს. პირდაპირ მარნიდან კვლავ ცოლთან მკლავგაყრილი წავიდა იგი განკუთვნილ სადგომში და შემდეგ ორ საათსა და თხუთმეტ წუთს ცოლ-ქმარი ფანჯრის ფარდებში იცქირებოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ უზიარებდნენ ერთმანეთს აზრს იმაზე, რაც მოხდა.

კახეთისათვისაც კი მომხიბვლელი ის დღე გაჟღენთილი იყო ნაშუადღევის ოქროსფერი ციალით. შორეული მთის მყინვარი მოგაგონებდათ ნახევრადგამჭვირვალე ლურჯი მინერალური ქვის დანის პირს. ღრუბლები ეფარებოდნენ მას, როგორც ხელებაღმართული მოჩვენებანი, რაც მეტად დამამშვიდებლად მოქმედებდა განწყობილებაზე. გარდა ამისა, წინანდელი გზით დაბრუნება ყარსზე გავლით ახლა, აქედან საკმაოდ საძნელო მოლაპარაკებას მოითხოვდა მოსკოვთან. დღის ბოლოს, როცა დირექტორი, რომელსაც ფიქრად სრულიად არაფერი არ მოსდიოდა, კვლავ სტუმრებთან ავიდა, ევგენია ივანოვნამ მოახერხა და ქმარი დაიყოლია იმაზე, რომ თავი მიეჩნია რუსეთში ჯერ კიდევ დაუმთავრებელი პოლიტიკური ბრძოლის მსხვერპლად. და ბოლოს, დამნაშავე მეგზურმა ეს ნახევარი დღე ისე დამმარებულმა გაატარა მზისგულზე ქვემოთ, რომ ცოლთან მეორე თათბირის შემდეგ მისტერ პიკერინგი დათანხმდა მთლად დაეცალა შეთავაზებული ფიალა.

და მაშინ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი მზად ყოფილიყო გასართობი მგზავრობისათვის. მთავარი შენობის კუთხეში ხახხაებდა და ძიგძიგებდა ჩარდახდაშვებული მექანიზმი, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ ნახეს სასაზღვრო ხოზაფინის ტბიდან თბილისს რომ მოდიოდნენ. ხალიჩების, ღვინისა და სხვადასხვა სანოვაგის ჩაწყობის შემდეგ, საბარგულ [illegible]

ლეონიდ ლეონოვი

# Evgenia Ivanovna

მოთხრობა

[illegible] ლიო. მან საკმაოდ მორიდებით უპასუხა, არა არ მომაგონებენო. მაშინ რა კი სტრატონოვს ძლიერ სურდა გაექარწყლებინა დასავლეთის წინააღმდეგ წელანდელი გალაშქრებით გამოწვეული ცუდი შთაბეჭდილება, რაც შეიძლებოდა მორიდებით ჰკითხა პროფესორს, კავკასიის წარსულისადმი მეცნიერული ინტერესი როდისმე ხომ არ აღგძვრიათო. არა, არასოდეს არ აღმძვრიაო, მშრალად უპასუხა... ამასობაში ისინი აღმოჩნდნენ წინანდლის ციტადელის ფლატესთან. ასწლოვანი წაბლები, რომელთა ნაყოფი ფეხქვეშ ხრაშუნებდა, ხრამს გადასცქეროდნენ და ეკლო- [illegible]

— როგორ თქვით? მესვეტე? — ჰკითხა ინგლისელმა მისთვის გაუგებარი სიტყვა.

— ო, ეს არის Stylites. აუხსნა ქმარს ევგენია ივანოვნამ და გაახსენა ტენისონის იმავე სახელწოდების პოემა და ქმრის საყვარელი ციტატი — დევიზი: — Show me the man hath suffered more than J

სრულიად საჭირო არ იყო და ამასთან არა მგონია, რომ მარტო ქმრისათვის წაიკითხა მან თავისუფლად მთელი რვა სტრიქონი: სამი წლის წინათ მოღეს ბოლაზში ერთი სიტყვაც კი არ იცოდა ინ- [illegible]

ელიც კი, რისი მოგონებაც დღემდე მდაგავს.

მისი მონოლოგი გაისმა არანაკლებ გულუბრყვილოდ, ვიდრე მთელ კვირაში მომხდარი ამბების ჩამოთვლა პასუხად ვისიმე გაუფრთხილებელ კითხვაზე how do you do? აღეწილი სახე, სიტყვის გაწყვეტა და მთელი რიგი სხვა წვრილმანები ცხადყოფდნენ იმ მომენტში სტრატონოვის გაჭირვებულ მდგომარეობას, ყოველი ნიშნის მიხედვით, ახლა იმაზეც კი დათანხმდებოდა, რომ ჩაედინა მცირე სამსახურებრივი დანაშაული, ოღონდ თავისი [illegible]

მოდიოდნენ. ხალიჩების, ღვინისა და სხვადასხვა სანოვაგის ჩაწყობის შემდეგ, საბარგულ [illegible]

[illegible]



ნახატი ი. [illegible]

[illegible]

— ო, თქვენ მართლა ასე გგონიათ?—

გაგრძელება. დასაწყისი იხილე ჩვენი გაზეთის №№ 274, 275, 276-ში.

თარგმანი ა. ჭუმბაძისა.

(გაგრძელება იქნება)

---



# უკანასკნელის წინა ორი მატჩი

**გუშინ** კიევსა და კიშინიოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელისწინა ორი მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ქვეჯგუფის გუნდებისათვის. კიდევ ოთხმა კოლექტივმა დაამთავრა საიუბილეო პირველობა და სატურნირო ცხრილში კუთვნილი ადგილი დაიკავა.

**კიევში** ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ გუნდები. მათ არც მეორე ქვეჯგუფში ემუქრებოდათ გადასვლა და არც საპრიზო ადგილებისათვის ჰქონდათ საზრუნავი. მიუხედავად ამისა ბრძოლა შეუპოვარი იყო, შეჯიბრება დამთავრდა ფრედ — 1:1.

**მატჩი** კიშინიოვში „მოლდოვასა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“ შორის გადამწყვეტი იყო არა მარტო კუიბიშეველთათვის, არამედ ლენინგრადის „დინამოსთვისაც“. სწორედ ამ შეხვედრის შედეგზე იყო დამოკიდებული, თუ ვის მოუწევდა პირველ ქვეჯგუფში დარჩენა — „კრილია სოვეტოვს“ თუ ლენინგრადის „დინამოს“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ამრიგად, ბურთების უკეთესი სხვაობით „კრილია სოვეტოვმა“ შეინარჩუნა „ა“ კლასის პირველ ქვეჯგუფში ყოფნის უფლება.

# გადადებული პარტიების დამთავრება

**გუშინ** ბაქოს ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ყურადღებას იპყრობდა კუშნირისა და კანტოროვიჩის გადადებული პარტიის დამთავრება. კუშნირმა სძლია მეტოქეს და სატურნირო ცხრილში მეტად საჭირო ქულა ჩაიწერა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა კაკაბაძემ დაამარცხა საერთაშორისო ოსტატი როოტარე.

კვლავ წარუმატებლად იბრძვის საერთაშორისო ოსტატი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბიკოვა, რომელმაც მორიგი დამარცხება განიცადა იგნატიევასთან გადადებულ პარტიაში. მომდევნო გადადებულ პარტიაში იგნატიევამ დამარცხება განიცადა სკეგინასთან. კაზმინამ მოუგო დმიტრიევას. ჩაიკოვსკაია-ზვორიკინას, ვოლპერტ-ზვორიკინასა და როოტარე-პოსტნიკოვას პარტიები ყაიმით დამთავრდა.

რვა ტურის შემდეგ წინ არის ა. კუშნირი, რომელსაც 6,5 ქულა აქვს მეორე ადგილზეა სკეგინა (6 ქულა). მესამეზე — ჩაიკოვსკაია (5,5 ქულა).

# თამაში, ბურთი, ქულა

„ა“ კლასის პირველი ქვეჯგუფი

მდგომარეობა 28 ნოემბრისათვის

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „დინამო“ (მ.) | 37 | 47—14 | 54 |
| „სპარტაკი“ (მ.) | 38 | 65—33 | 52 |
| „დინამო“ (მნ.) | 38 | 47—27 | 48 |
| სკა (როსტ.) | 38 | 73—40 | 47 |
| „დინამო“ (თბ.) | 38 | 56—42 | 47 |
| „ზენიტი“ (ლ.) | 38 | 45—32 | 45 |
| ცსკა | 38 | 39—27 | 45 |
| „ნეფტიანიკი“ (ბ.) | 38 | 48—44 | 45 |
| „დინამო“ (კ.) | 38 | 68—48 | 44 |
| „ტორპედო“ (მ.) | 38 | 46—41 | 40 |
| „შახტიორი“ (დ.) | 38 | 29—33 | 36 |
| „ტორპედო“ (ქ.) | 37 | 22—37 | 32 |
| „მოლდოვა“ (კიშ.) | 38 | 27—43 | 32 |
| „კაირატი“ (ალმ.) | 38 | 28—47 | 32 |
| „კრ. სოვეტ.“ (კბ.) | 38 | 45—53 | 29 |
| „დინამო“ (ლ.) | 38 | 37—51 | 29 |
| „ლოკომოტივი“ (მ.) | 38 | 37—54 | 29 |
| „არარატი“ (ერ.) | 38 | 34—57 | 26 |
| „ავანგარდი“ (ხ.) | 38 | 25—56 | 25 |
| „პახტაკორი“ (ტ.) | 38 | 44—83 | 21 |

# წინ არიან გელერი და სუეტინი

**გუშინ** ლენინგრადში გაიმართა სსრ კავშირის XXXI პირველობის მესამე ტური ჭადრაკში ვაჟთათვის.

ამ ტურში ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებიდან თავი ისახელეს გელერმა და სუეტინმა, რომლებმაც დაამარცხეს ზახაროვი და ოსნოსი და სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცნენ.

გიპსლის-ბონდარევსკის, გუფელდ-ფურმანის, ნეიშტეინისა და სპასკი-ტაიმანოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

სამი ტურის შემდეგ გელერსა და სუეტინს 2,5 ქულა აქვთ თვითეულს.

# ჭადრაკის კუთხე

საერთაშორისო ოსტატ ვ. გოგლიძის რედაქციით.

## დაფიქრდით, ამოხსენით

**შესრულდა** 75 წელი გენიალური კუბელი მოჭადრაკის ხოსე რაულ კაპაბლანკას დაბადებიდან. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად ვაქვეყნებთ მის ერთ-ერთ ნაწარმოებს. როგორც ცნობილია, კაპაბლანკა ძალიან სწრაფად ამოხსნიდა ხოლმე ურთულეს საჭადრაკო ეტიუდებსა და ამოცანებს, თუმცა თვითონ არ ადგენდა მათ. ჭადრაკის თამაშის მოყვარულთა შეკითხვებზე, რატომ ყურადღებას არ აქცევთ საჭადრაკო კომპოზიციების შედგენასო, კაპაბლანკამ უპასუხა, ერთხელ შევადგინე საჭადრაკო ეტიუდი, მაგრამ იგი ვერავინ ვერ ამოხსნა და ამიტომ გადავწყვიტე ეტიუდების შედგენაზე აღარ მემუშავნა.

ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს ხოსე რაულ კაპაბლანკას ეტიუდს და ვთხოვთ ამოხსნან იგი.



**თეთრები:** მფd3, ეb1, მe3 (სულ 3);

**შავები:** მფa4, ეh7 პპ: c6, c5, f6, g6, g5, g4, g3 (სულ 9).

თეთრები იწყებენ და იგებენ.

## ჩვენი პასუხი

ამოხსნა **ბ. ჩიკვაიძის** ამოცანისა, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „კომუნისტში“ 1963 წლის 2 ნოემბერს, ასეთია:

1. მe7! მფ:e7 2. კg5+ მფf8 3. ეg8×;

1... მფ:g7 2. მg8 მფf8 (2... მფh8 3. კc3×) 3. კh6×;

1... მფe5 2. კg5 მფd4 3. მc6×.

ამოცანა სწორად ამოხსნეს: ხ. და ქ. ლორთქიფანიძეებმა, ს. ფორაქიშვილმა, რ. ისაკაძემ, გ. დარასელიამ (თბილისი), ხ. თითქოსამ (სოფ. ქვენატკოცა), პ. ხარატიშვილმა (რუსთავი), შ. შომახიამ (აბაშა), დ. ყეინიშვილმა (სოფ. სიმონიანთხევი), მ. გელხვიძემ (ქუთაისი), შ. სუხიტაშვილმა (სოფ. სართიჭალა), ვ. მეცხარიშვილმა (სოფ. მერეთი), ა. ხუბუნიამ (ჩხოროწყუ), ს. გოზალიშვილმა (წნორი), რ. ფერაძემ (ზესტაფონი).

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## თეატრები

2? ნოემბერი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი** — ტრუბადური (მე-7 აბონ. მე-4 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — რღვევა (მე-16 აბონ. მე-10 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ოკეანე (მე-10 აბონ. მე-3 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — შესანიშნავი სამეული, **სანკულტურის** — პროკურორ მაიარის საქმე (მე-4 აბონ.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გზა მშვიდობისა (აბონ. № 4, 4 ს.), **თოჯინების ქართული** — დაიყივლე, მამალო (11 ს.), სიცოცხლის ყვავილი (2 ს.).

## ტელევიზია

28 ნოემბერი

12.00 — კინონარკვევი „უხილავი მეგობრობის ძიებაში“, 12.20 — მხატვრული ფილმი „ქალიშვილი შავებში“, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.15 — უფროსკლასელთათვის — „სკოლა და ცხოვრება“, 18.30 — გადაცემა „იუგოსლავიის ეროვნული დღესასწაული“, 18.45 — კინონარკვევი, 18.55 — გადაცემა — „გორის სამრეწველო საწარმოებში“, 19.15 — კინოჟურნალი, 19.25 — ლიტვის ტელევიზიის საღამო.

## რადიო

29 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.30 — სომხური მუსიკის კონცერტი, 11.15 — სომეხ კომპოზიტორთა სიმფონიური ნაწარმოებები, 12..10 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 12.20 — ნაწყვეტები მ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერიდან“, 13.40 — მოკრანეცი. კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 17.15 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ნარკვევი „როცა ზარი წკრიალებს“, 18.10 — საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ქართული ხალხური გუნდის კონცერტი, 18.45 — ნაწყვეტები ბ. ავეტისოვის ოპერეტებიდან, 19.30 — საუბარი — „რუსთაველი ქიმიკოსები სოფლის მეურნეობას“, 19.45 — არიები ოპერებიდან თ. საზანდარიანის შესრულებით, 20.15 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 21.00 — ე. მირზოიანი. სიმფონია სიმებიანი ორკესტრისა და ლიტავრებისათვის, 21.30 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 23.30 — სომხური საესტრადო მუსიკის კონცერტი.

## დისერტაციის დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტი

**1963** წლის 10 დეკემბერს, დღის 2 საათზე, ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შედგება სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს

**მერაბ დიმიტრის-ძე ჟუჟარაძე**

თემაზე: „ძაჯის სკარნულ-რკინამადნიანი საბადოს გეოლოგიური აგებულება, ნივთიერი შემადგენლობა და ფორმირების პირობები“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ზოიარუხაძის ქ. № 1, კორპუსი 9).

რედაქტორი

დ. მძედლიშვილი.

კომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67, პ/მ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 01234

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.